ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 2020 №226 (8490) ფასი: 60 თეთრი

დავით ხვიბლიანი: „ვინც ჩემს პირად ღირსებას ეხება, აუცილებლად ვუჩივლებ“

გვ.5

ირაკლი ოქრუაშვილი: „არავინ შეეგუება იმას, რომ „ოცნებამ“ არჩევნები გააყალბოს“

გვ.2

„ჩემთვის სამართლიანი გარემო არ ყოფილა, ივანიშვილმა ციხეში გამომკეტა და რესურსებითაც ყველაზე რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით“

„ხელისუფლებამ ზუგდიდელი ყაჩაღი თუ არ დაიჭირა, ხმებს დაკარგავს“

თორნიკე შარაშენიძე: „გაყალბება არჩევნების დღეს არ ხდება, ხდება მანამდე. მანამდე ხდება მოსახლეობასთან მუშაობა და მერე ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება. ზედ იმ დღეს გაყალბება ძალიან რთულია“

გვ.3

„მიშა მოდის“ ძახილმა აღარ იმუშავა“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „მერაბიშვილზე ანგელოზის შთაბეჭდილება არავის აქვს, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ იცის ასეთი შტაბების არსებობის შესახებ და მით უფრო იარაღზე აქვს ინფორმაცია, ამაზე განცხადება კი არ უნდა გააკეთოს, უნდა იმოქმედოს“

ლევან ჩაჩუა: „თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ხმების მიწერით ვერავინ გარდატეხას ვერ მოახდენს“

გვ.4

„დასავლეთ საქართველოში აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანებს პოლიტიკოსების სახელის გაგონება აღარ უნდათ. მათთვის ახლობელია ჩვენი იდეები“

ვახტანგ გომელაურმა ანაკლიაში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გახსნა

გვ.5

„ბადრი ესებუა სამხედრო სამსახურიდან 2019 წელს დავითხოვეთ“

გვ.5

თავდაცვის სამინისტროს განცხადება

ISSN 1987-9385

2 პრეზიდენტი: „წადით არჩევნებზე!“

5 საბურთალოზე მეზობლებმა ერთმანეთი დაჭრეს

2 მამუკა მდინარაძე: „ლოკდაუნზე საუბარი არ არის“

6 ილჰამ ალიევი: „ოკუპაციისგან კიდევ 13 სოფელი გათავისუფლდა“

ირაკლი ოქრუაშვილი: „არავინ შეეგუება იმას, რომ „ოცნებამ“ არჩევნები გააყალბოს“

„ჩემთვის სამართლიანი გარემო არ ყოფილა, ივანიშვილმა ციხეში გამომკეტა და რესურსებითაც ყველაზე რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით“

იავო ნაცვლიშვილი

რას შეცვლის პარლამენტში? რა არის ქვეყნის მთავარი პრობლემა? რა მოლოდინი აქვს არჩევნებზე? რას გააკეთებს ოპოზიცია, თუ ხმებს გაუყალბებენ და როგორ დაიცავენ ხმებს? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობს.

– წინა მოწვევის პარლამენტი ცირკს ჰგავდა. ალბათ, გინდათ თქვენც, რომ ეს რეალობა შეიცვალოს. რას შეცვლის ირაკლი ოქრუაშვილი და „გამარჯვებული საქართველო“ პარლამენტში?

– ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ მივეჩვიეთ პარლამენტში ისეთი ადამიანებს, რომლებიც პირობითად არიან კარგი მეწარმეები, კარგი ექთნები, მაგრამ კარგი კანონშემოქმედები ძალიან ნაკლები გვყავს. მაქსიმუმ 10%-ც არ შეიძლება იყოს კარგი კანონშემოქმედი. მხოლოდ წინა მოწვევის პარლამენტს არ ვგულისხმობ, გაცილებით ფართო პერიოდზე ვსაუბრობ.

– რატომ, რითია ეს განპირობებული?

– პოლიტიკური პარტიები აქცენტს აკეთებენ სხვა ტიპის გავლენის მქონე ადამიანებზე, ვიდრე ეს კარგი კანონშემოქმედი ადამიანები არიან – კარგი იურისტები თუ ეკონომისტები. ამის დეფიციტი არის პარლამენტში და ეს კიდევ სხვა პრობლემაა. ამ ახალმა პარლამენტმა უნდა შექმნას სულ სხვა ატმოსფერო. ეს არა მარტო ჩემი სურვილია, არამედ ეს ასე იქნება, კარგი პროფესიონალებისა და ქვეყნის მართვის გამოცდილების მქონე ადამიანებისგან იქნება შემდგარი.

„ქართული ოცნება“ ქვეყანას რომ ვერ მართავს, ცხადია. დღევანდელი ვითარებით აშკარაა, რომ გაცილებით ფართო წარმომადგენლობა იქნება, მათ შორის პატარა პარტიები. 1 ნოემბერს ჩვენ უნდა გავიღვიძოთ სულ სხვა რეალობაში. აუცილებლად მოგვიწევს კოალიციურ მმართველობაზე გადასვლა, როდესაც ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა დასრულდება ქვეყანაში და პასუხისმგებლობა გადანაწილდება. იქნება კოალიცია, რომელიც ერთმანეთის კონტროლს განახორციელებს.

თუ, სიტყვაზე, კოალიციაში იქნება 6-7 პარტია, მათ გაცილებით მეტი სტიმული ექნებათ ერთმანეთის კონტროლისა და კონკურენციის. ამის შედეგად მოხდება გაცილებით მეტი საქმის კეთება, ვიდრე ივანიშვილის გემოვნებით შემდგარ მთავრობაში, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს უსაფრთხოების სფეროზე, არც ეკონომიკაზე, არც ჯანდაცვის სფეროზე და არც განათლებაზე.

– რა არის ამ ქვეყნის მთავარი პრობლემა?

– ამ ქვეყნის მთავარი პრობლემა არის მახინჯი მმართველობითი სისტემა, ერთ ადამიანზე აგებული სახელისუფლებო ვერტიკალი. უსაფრთხოების სისტემა ემსახურება ერთი ადამიანის უსაფრთხოებას, ერთი ადამიანის კეთილდღეობას და დანარჩენი საზოგადოება სრულიად იგნორირებულია.

– ეს ერთი ადამიანი ივანიშვილია?

– რა თქმა უნდა. ივანიშვილის გარდა, ვინ არის კიდევ?! ზუგდიდის მაგალითმა დაგვანახა იგივე და ეს იყო ნათელი სიმპტომი იმისა, თუ რამდენად დიდი საფრთხის წინაშე დგას დღეს მთელი საზოგადოება. ასეთი ფაქტი რომ განმეორდეს, არავინ არის დაცული ამ ქვეყანაში.

– რატომ დასჭირდა ამდენი დრო ზუგდიდის საქმის გახსნას?

– მანკიერი მმართველობითი პრობლემის გამო, როდესაც სისტემა არის პარალიზებული, არაეფექტური და სისტემას მართავენ არაპროფესიონალი, უცოდინარი და გამოუცდელი ადამიანები, რომლებიც ივანიშვილის გემოვნებით არიან შერჩეულები და არა – პროფესიონალების მიერ. ეს არის ამ ყველაფრის მიზეზი.

– თქვენ ამ საქმეს ცხელ კვალზე-ვე გახსნიდით?

– დაქადნება და ტრაბახი არ არის სწორი, მაგრამ ძალიან ბევრი პროფესიონალია ქვეყანაში და, ჩართული რომ ყოფილიყვნენ საქმეში, გაცილებით ეფექტური იქნებოდა და ის პროცესები გაცილებით უმტკივნეულოდ გადაილახებოდა.

– მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ მთელი სამართალდამცავი სისტემა არჩევნებზეა გადართული?

– რა თქმა უნდა. სამართალდამცავი სისტემა დღეს გადართულია „ქართული ოცნების“ საარჩევნო ყულაბაში ხელების ჩაყოფაზე. სხვადასხვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები მივლინებული ჰყავთ რეგიონებში.

– ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ თავპირს დაამტვრევს ყველას, ვინც ხმებს მოჰპარავს. პოტენციურად არის საფრთხე, რომ თქვენც მოგპარონ. რას გააკეთებთ ამისთვის?

– ამის საფრთხე არსებობს და ამაზე ადეკვატური პასუხი გვექნება ყველას. ქალბატონი ბურჯანაძე გამონაკლისი არ იქნება. ჩვენ ყველა დავიცავთ საკუთარ და ერთმანეთის ხმებს იმიტომ, რომ ეს ხმები არ არის პარტიული ხმები. ეს არის ჩვენი მომავლის ხმები. ივანიშვილმა უნდა განსაზღვროს ერთი რამე – რა უნდა, სრულფასოვანი და კომფორტული ხელისუფლება, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დასრულდება თუ რყევები, რომლებიც მისი ხელისუფლებისთვის საფრთხის გამომწვევი იქნება.

რყევებში ვგულისხმობ საზოგადოების პროტესტსა და აღშფოთებას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ხმების გაყალბების შედეგად.

ხმებს, რა თქმა უნდა, დავიცავთ და არავინ შეეგუება იმას, რომ „ოცნებამ“ არჩევნების გაყალბება დაიწყოს.

– თუ მოხდა ისე, რომ არჩევნების შემდეგ გამოაცხადეს საგანგებო მდგომარეობა და აკრძალეს აქციები, მაშინ როგორ დაიცავთ ხმებს?

– მარტივი რამეა. არსებობს საზოგადოების პროტესტი და არსებობს უცხოელებთან მუშაობის განსაკუთრებული სფერო, როდესაც მათ უნდა მივაწოდოთ თითოეული დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, მათი შეფასებები ასევე მნიშვნელოვანი იქნება. ყველა კომპონენტი გამოყენებული იქნება.

– თქვენი პარტიის კამპანიაზე რას იტყვით, რამდენად მოახერხეთ სრულფასოვანი კამპანიის ჩატარება?

– ჩვენ, „გამარჯვებულ საქართველოს“, გვქონდა ყველაზე რთული კამპანია. ყველაზე ძვირფასი დრო, რომელიც უნდა გამოგვეყენებინა საარჩევნო კამპანიისთვის ადამიანებთან მისასვლელად და პროგრამის გასაცნობად, ვერ გამოვიყენეთ რამდენიმე მიზეზის გამო.

ერთი იყო ჩემი ციხეში ყოფნა, სადაც ივანიშვილმა სრულიად უსამართლოდ გამომკეტა. მეორე იყო ის, რომ დარჩენილი დრო არ აღმოჩნდა საკმარისი. ფინანსური და ადამიანური რესურსები არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩვენ, ალბათ, ერთადერთი პარტია ვიყავით, რომელსაც არ ჰქონდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სარეკლამო დრო. არც ერთი ბილბორდი და არც ერთი სარეკლამო რგოლი არსად არ გაგვიშვია. რთული იყო კამპანიის წარმოება, მაგრამ დარწმუნებული ვარ საზოგადოების გონიერებაში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი არის პატარა პარ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მამუკა მდინარაძე: „ლოკდაუნზე საუბარი არ არის“

„ქართული ოცნების“ ლიდერები ოპონენტებს სიმშვიდისკენ მოუწოდებენ და ასევე ურჩევენ, მაქსიმალურად კონცენტრირდნენ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე.

მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ „ქართული ოცნება“ ლოკდაუნის გამოცხადებას არ აპირებს და ასევე, გამარჯვებაში დარწმუნებული არიან. სწორედ ამიტომ ისინი ოპოზიციის წარმომადგენლებს ურჩევენ, რომ ამ აზრს შეეგუონ.

– სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ არანაირ ლოკდაუნზე საუბარი არ არის და ყველა გამოსვლაში ამას ვლაპარაკობთ, პრემიერიდან დაწყებული, ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლით გაგრძელებული.

მათ შეუძლიათ დადგნენ, 3%-იანი, 2%-იანი, 4%-იანი, ბევრი პარტია შეიკრიბა ახლა ნაცკლასტერში, ერთმანეთს ედებატონ მათ განსხვავებებზე, რასაც ასევე არ აკეთებენ, თორემ სიმართლის თქმას არაფერი არასდროს უდგას წინ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

არჩევნებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 28-კაციანი ჯგუფი დააკვირდება

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს დააკვირდება.

ამის შესახებ ასამბლეის მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია ნათქვამი, რომელიც 28 ოქტომბრით თარიღდება.

მისი ინფორმაციით, საქართველოში 28-კაციანი სადამკვირვებლო ჯგუფი იგზავნება.

„31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში ალბანელი პარლამენტარი და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეორე მომხსენებელი კოლონა ელონა ჯებრეა ხოჯა ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის სპეციალური კოორდინატორი და ხელმძღვანელი იქნება, ხოლო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის საკითხებში პია კაუმა (ფინეთი) ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელ დელეგაციას უხელმძღვანელებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პრეზიდენტი: „წადით არჩევნებზე!“

პრეზიდენტი მოსახლეობას არჩევნებზე წასვლისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ მის განცხადებაშია ნათქვამი:

„სამ დღეში არჩევნებია! მოგმართავთ ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე: კოვიდის შეკავება და ეკონომიკის გადარჩენა, ქვეყნის სტაბილურობის გამყარება, დემოკრატიული წინსვლის განმტკიცება – ეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი და უალტერნატივო პრიორიტეტებია!

ამ დროს, შეტევა ხორციელდება იმ ინსტიტუციებზე და იმ პიროვნებების დისკრედიტაციის მცდელობებია, ვისაც საზოგადოება ენდობა და რომლებიც ხვალინდელი დღისთვის ყველაზე მეტად გვჭირდება, ეს არის ჯარი, სამართალდამცავები და ჯანდაცვის წარმომადგენლები.

ჩემი მოვალეობა ამ სტრუქტურების და პიროვნებების დაცვაა, რომლებზეც ჩვენი ქვეყნის დღევანდელი დღე და მომავალი დგას.

ჯარზე – ერთი პირის გამო, ვინც არ უნდა იყოს ეს პირი, წარმოუდგენელია დანაშაულის განვრცობა მთელ ჯარზე. მიუღებელია დამაკნინებელი და მადისკრედიტირებელი შეფასებების გავრცელება მთლიანად ჯარზე. მით უფრო, ქვეყანაში რომლის ტერიტორიები ოკუპირებულია და რომელიც ისწრაფვის ნატოსკენ; ასეთი უსაფუძვლო ბრალდებები პირდაპირ უთხრის ძირს ქვეყნის ინტერესებს, და ემსახურება დესტაბილიზაციას თუ უცხო ინტერესებს.

როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, კატეგორიულად ვგმობ და დავგმობ ასეთ მცდელობებს! მინდა, ჩემი ნდობა და პატივისცემა კიდევ ერთხელ დავუდასტურო ქართულ ჯარს!

სამართალდამცველების პროფესიონალიზმზე დამამცირებელი შეფასებები ასევე ემსახურება ქვეყნის დისკრედიტაციას იმ ნაწილში, სადაც ჩვენი ქვეყანა მაღალი საერთაშორისო შეფასებითა და რეპუტაციით სარგებლობს. ჩვენი სტრუქტურები სხვადასხვა სფეროში ეფექტიანად თანამშრომლობენ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, მათ შორის ტერორიზმისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. არსებული თანამშრომლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი დასავლელი პარტნიორების ინტერესებს არ ემსახურება.

როგორც პრეზიდენტმა, მინდა, კატეგორიულად დავგმო ის მიზანმიმართული მცდელობა, რომელიც საზოგადოების თვალში ჩვენი სამართალდამცავების პროფესიონალიზმის შელახვას ემსახურება და საბოლოოდ კი ძირს უთხრის შიდა სტაბილურობას. მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო წარმატებული ოპერაციის ჩატარებისთვის, რომელმაც გადაარჩინა ყველა მძევლის სიცოცხლე და ამ ოპერაციის მეთაურს საჯაროდ ვუთხრა მადლობა!

ჯანდაცვის სფეროზე – მისი ყველაზე ცნობილი და დაფასებული წარმომადგენლების ლანძღვა და დისკრედიტაციის მცდელობა კი ემსახურება მათი ავტორიტეტის შელახვას და საზოგადოებაში ნდობის ფაქტორის შესუსტებას. იმ ნდობის, რომელიც პირველ ეტაპზე ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი იყო. ჩვენ გვჭირდება, რომ გვქონდეს ნდობა ქვეყნის შიგნით და გარეთ, რათა შევძლოთ ამ პროცესის ეფექტიანი მართვა, გავაღრმაოთ ჩვენი საერთაშორისო თანამშრომლობები – იქნება ეს ვაქცინისა თუ სხვა საჭირო მედიკამენტების მიღება.

როგორც პრეზიდენტმა, არ შემიძლია, არ დავაფასო ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის ფასად გაწეული, მათი უდიდესი დამსახურება. მინდა გამოვხატო ჩემი და საზოგადოების მადლიერება ეპიდემიოლოგების, ექიმების, ექთნებისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ფრონტის წინა ხაზზე, უხილავი მტრის წინააღმდეგ, დაუღალავად იბრძოდა და იბრძვის. ასევე მინდა ვისარგებლო და პატივი მივაგო იმ ადამიანებს, რომლებმაც სხვების გადარჩენას შესწირეს თავი.

ეს შეტევები ემსახურება ქვეყანაში არასტაბილურობის განცდის შექმნას, შიშის და პანიკის გავრცელებას და დაძაბულობის გაღვივებას წინასაარჩევნო პერიოდში.

ჩვენი ერთობლივი მოვალეობაა, კარგად გავიაზროთ, თუ რა გამოწვევებთან გვაქვს საქმე:

საქართველო ამ რეგიონში ყველაზე სტაბილურ და დემოკრატიულ ქვეყნად რჩება. ეს სტატუსი უნდა შევინარჩუნოთ და გავამყაროთ. რეგიონში არსებული კონფლიქტიდან გამომდინარე, ჩვენი სტაბილურობა ჩვენთვის, მთლიანად რეგიონისთვის და ჩვენი პარტნიორებისთვის, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ასევე, ჩვენი დემოკრატიული განვითარების გზაზე გამჭვირვალედ, მშვიდად და სამართლიანად ჩატარებული არჩევნები კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება;

მიუხედავად კოვიდის გამოწვევისა, მჯერა, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ, რეკომენდებული უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, ვაჩვენოთ ყველას მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების კიდევ ერთი მაგალითი.

ამდენად, ჩვენი მისვლა არჩევნებზე ყველა არსებულ გამოწვევაზე საუკეთესო პასუხი და ჩვენი ხვალინდელი დღის უალტერნატივო გარანტიაა. ეს თითოეული მოქალაქის ვალია – თქვენი, ჩემი.

დაბოლოს, მინდა მივულოცო მათ, ვინც პირველად მიდის არჩევნებზე, პირველად მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოს განვითარებაში და საკუთარი ქვეყნის მომავალს ამით განსაზღვრავს.

წადით არჩევნებზე, წადით მშვიდ, სამართლიან არჩევნებზე!“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: **www. akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლებამ ზუგდიდელი ყაჩაღი თუ არ დაიჭირა, ხმებს დაკარგავს“

თორნიკე შარაშენიძე: „გაყალბება არჩევნების დღეს არ ხდება, ხდება მანამდე. მანამდე ხდება მოსახლეობასთან მუშაობა და მერე ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება. ზედ იმ დღეს გაყალბება ძალიან რთულია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, არჩევნებამდე ორი დღით ადრე როგორია თქვენი პროგნოზი და შეფასებები? საკმაოდ მძიმე პანდემიური ფონია, კრიმინოგენური სიტუაციაც არ არის სახარბიელო. გვესმის შეფასებები, რომ ბოლო კვირაში „ოცნების“ რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. როგორია თქვენი შეფასებები?

– კი, ალბათ, ეგრე იქნება, დაეცემოდა, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, მათ უკან შემოუბრუნდათ გარეჯის ამბავი, რადგან დაკავებულებმა არ აღიარეს არაფერი და თუ გეგმაში იყო სერიოზული საქმის გახსნა, ჯერჯერობით ვერ იხსნება. მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯერა, რომ ეს დაკავებული ექსპერტები, მელაშვილი და ილიჩოვა, უდანაშაულოები არიან და ასეთ დროს ადამიანების სიმპათია არის იმათ მხარეს, ვინც უდანაშაულოდ ისჯება. ადამიანს ციხეში რომ სვამ, უნდა გქონდეს მყარი მტკიცებულებები, თუ არადა, უკვე სერიოზული პრობლემაა, თუნდაც იყვნენ დამნაშავეები. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ეს საქმე, საბოლოო ჯამში, ცუდად შემოუბრუნდა.

– ამ ყველაფერს ზუგდიდის ამბებიც დაემატა.

– კი, ნამდვილად ასეა. არჩევნებამდე თუ დააკავეს ყაჩაღი, მაშინ მათთვის გამოსწორდება სიტუაცია, ხოლო თუ ვერ დაიკავეს არჩევნებამდე, ეს ხმებს ჩამოაკლებს სერიოზულად. საქმე ისაა, ეს ჩამოკლებული ხმები საით წავა.

– საით წავა, ოპოზიციის რომელი ფლანგისკენ გადანაწილდება?

– უფრო მესამე ძალებისკენ წავა. ნამდვილად არ მგონია, რომ პირდაპირ ნაციონალური მოძრაობისკენ წავიდეს.

– რადიკალური ოპოზიცია ვერ მიიღებს ამ ხმებს?

– ვერ მიიღებს. უფრო წავა ისეთი პარტიებისკენ, როგორებიცაა პატარა ვაშაძე, „ლელო“ და ასე შემდეგ.

– „ევროპული საქართველოს“ კვლევები ერთ-ერთი ბოლო იყო. როგორ აფასებთ ამ კვლევებს?

– აბა, რა გითხრათ, მათი კვლევების თანახმად, 11% უწერია „ევროპულ საქართველოს“ და მეეჭვება, ასე გაზრდილიყო მათი რეიტინგი. ღმერთმა გაუმარჯოთ, თუ ამდენი აქვთ, მაგრამ მეეჭვება. ეს მათთვის საკმაოდ მაღალი მგონია.

– უკვე გაჩნდა ასეთი შეფასებები, რომ ჯამურად ოპოზიცია აჯობებს „ოცნებას“. თქვენ რას ფიქრობთ?

– პროპორციულში, რა თქმა უნდა, ასე იქნება. ადრეც მითქვამს თქვენთან ინტერვიუში, პროპორციული რომ ყოფილიყო მთლიანად, მაშინ „ოცნება“ წააგებდა. ამიტომ არ არის მთლიანად პროპორციული. ამას მალევე მიხვდა „ოცნება“ და ამიტომაც შეცვალეს. მათ რჩებათ მაჟორიტარული ბერკეტი, ვნახოთ, რა გამოუვათ. არის კიდევ რამდენიმე ფაქტორი მათ მხარეს.

– კერძოდ, რომელი?

– არსებობს რამდენიმე პარტია, რომლებიც არასოდეს შექმნიან კოალიციას ნამოძრაობასთან და „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად. პირველ რიგში ეს „პატრიოტთა ალიანსია“.

– თქვენ ფიქრობთ, რომ თავად „ოცნება“ მოვა, ოღონდ კოალიციით?

– შეეხედოთ, რა იქნება. თუ კიდევ რამე სასწაული არ აუფეთქდათ, ისე, როგორც აუფეთქდათ ბოლო ორ კვირაში და ამან მთლიანად შეცვალა სურათი, არაა გამორიცხული, რომ ძალიან გაუჭირდეთ.

– ბოლო პერიოდში ორკესტრირებული სახე მიიღო კრიმინალმა. მიზანმიმართულ კამპანიას ხომ არ ჰგავს ეს ყველაფერი?

– ბანკის გაძარცვის შემდეგ სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა, დღეს არაფერი საგანგაშო აღარ ხდება, თუმცა ხალხს უკვე აქვს იმის განცდა და შეგრძნება, რომ ხელისუფლებას კრიმინალი გაექცა ხელიდან. მთავარი შეგრძნებაა ხოლმე პოლიტიკაში, ვიდრე რეალობა. შეიძლება, არაფერი სასწაული აღარ ხდება, მაგრამ საზოგადოებაში უკვე ასეთი განცდაა, რომ გაიზარდა. ზოგადად, ხალხს რისიც სჯერა, ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც რეალურად ხდება.

– ოპოზიცია გამოთქვამს ვარაუდს, რომ როგორც კი დასრულდება არჩევნები, ხელისუფლება გადავა მკაცრ შეზღუდვებზე, ყველაფერს ჩაკეტავენ. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

– წინასწარ რთულია ამის თქმა. შევხედოთ, რა სიტუაცია იქნება. მე ვფიქრობ, რომ იქნება გარკვეული შეზღუდვები, მაგრამ მკაცრი – არა. მკაცრი შეზღუდვები ეკონომიკას საერთოდ დაღუპავს. „ოცნების“ გეგმაშია, რომ კიდევ ოთხი წელი დარჩნენ ხელისუფლებაში და, ეკონომიკა თუ ჩააკვდათ ხელში, მაშინ კრიზისი გამოუვათ და მერე შეიძლება, უარესი დაემართოთ.

– ანუ „ოცნების“ ინტერესში არ შედის მკაცრი შეზღუდვები?

– რა თქმა უნდა, არა! ამით მოკლავენ ყველაფერს. ქვეყნის მართვას ხომ აპირებენ შემდეგში. არჩევნების მოგება ხომ ამიტომ უნდათ.

– „ოცნებამ“ ზაფხულში თუ რეიტინგი მოიმატა და ქულები დაიწერა პანდემიის მართვით, ახლა ეს ყველაფერი უკუღმა შემოუტრიალდათო. ასეა?

– ზუსტად კორონაზეა ნათქვამი: ქარის მოტანილი ქარმა წაიღოო.

– ასე რატომ გაექცათ სიტუაცია?

– მარტო ამათ არა, ძალიან ბევრს გაექცა. ყველა ასე მოიქცა. გაზაფხულზე ყველა ქვეყანამ ჩაკეტა და ყველამ გახსნა ზაფხულში. სხვასაც ზუსტად იგივე დაემართა. ყველგან იგივე სიტუაციაა ჩვენ გარშემო. სულ ჩაკეტილები ხომ ვერ ვიქნებოდით. ჩვენს ხელისუფლებას მეტი გზა არ ჰქონდა, თუმცა სხვა საქმეა, როგორ მოემზადა შემდეგი ტალღისთვის.

– პიკი ნოემბერში იქნებაო და ანუ უარესს უნდა ველოდეთ?

– ლოგიკიდან გამომდინარე, მე უარესზე არც ვფიქრობ. ადამიანებმა თუ დაიცვეს უსაფრთხოების წესები, თუ იარეს პირბადით, მაშინ არანაირი პიკი არ იქნება, პირიქით, მოიკლებს.

– რა შედეგს ელოდებით არჩევნებზე, შესაძლოა, გაყალბებაზე წავიდეს „ოცნება“?

– გაყალბება არჩევნების დღეს არ ხდება, ხდება მანამდე. მანამდე ხდება მოსახლეობასთან მუშაობა და მერე ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება. ზედ იმ დღეს გაყალბება ძალიან რთულია. თუ გაყალბება უნდოდათ, აქამდე მოხდებოდა მოსახლეობასთან მუშაობა, ზოგიერთის გადაბირება და ადმინისტრაციული რესურსის მობილიზაცია. ეს უფრო მარტივია. არჩევნების დღეს გაყალბება არაა ასე მარტივი, ბოლოს და ბოლოს, 21-ე საუკუნეა, 2020-ია.

– ჭრელ პარლამენტს ელოდებით?

– კი, ჭრელი პარლამენტი იქნება. მთავარია, შიგნით როგორ დალაგდება. თუ ხელისუფლებამ დაიჭირა ზუგდიდელი ყაჩაღი, ეს დაკარგული ხმების ნაწილს დაუბრუნებს და კიდევ რაღაც შანსი უჩნდება მოგების, ისე – არა.

„მიშა მოდის“ ძახილმა აღარ იმუშავა“

ვახტანგ ძაბირაძე: „მერაბიშვილზე ანგელოზის შთაბეჭდილება არავის აქვს, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ იცის ასეთი შტაბების არსებობის შესახებ და მით უფრო იარაღზე აქვს ინფორმაცია, ამაზე განცხადება კი არ უნდა გააკეთოს, უნდა იმოქმედოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძემ მეორედ გააკეთა განცხადება პოლიტიკური პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარებასთან დაკავშირებით, მეტიც, შეიარაღებულ ამბოხზეც კი საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რასთან გვაქვს საქმე?

– თავისთავად, ასეთ რეალობაში რამდენად სწორია ასეთი გამოკითხვების ჩატარება, რომელზეც საუბრობს კობახიძე, ვერ გეტყვით. არგუმენტი, რომ თურმე გერმანიაშიც ტარდება მსგავსი გამოკითხვები, რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია, რადგან გერმანული სტაბილურობისგან ძალიან შორს ვართ.

რაც შეეხება იმას, რომ თურმე საარჩევნო შტაბების პარალელურად არსებობს შეიარაღებული შტაბები, რომლებსაც მერაბიშვილი ხელმძღვანელობს, მერაბიშვილზე ანგელოზის შთაბეჭდილება არავის აქვს, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ იცის ასეთი შტაბების არსებობის შესახებ და მით უფრო იარაღზე აქვს ინფორმაცია, ამაზე განცხადება კი არ უნდა გააკეთოს, უნდა იმოქმედოს. მე და თქვენ რომ გვეუბნება, ჩვენ ამ შტაბს მოვძებნით, იარაღს გამოვიტანთ თუ რა?! განცხადება არაფერ შუაშია, მოქმედებაა საჭირო. თუ იარაღის ამოქმედებას ელოდებიან?! თუ მათ ოპერატიული ინფორმაცია აქვთ, უნდა იმოქმედონ, თუმცა მე უფრო სხვა რაღაცა მგონია.

თუ ერთიანობაში შევხედავთ, დიდ სურათს დავინახავთ, რომ ისევ შუის გაკრეფისკენ არის მთელი ეს კამპანია მიმართული. „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ მხოლოდ „მიშა მოდის“ ძახილმა არ გაჭრა და სხვა რაღაცაა საჭირო. უარყოფითი მუხტი კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს.

– „ოცნება“ ფიქრობს, რომ მიშა საფრთხოებელა მთლად ვერ მუშაობს და რევოლუციით სცენარს უფრო დაამძიმებს?

– რა თქმა უნდა! ადამიანებში ახლა როგორია სააკაშვილისადმი განწყობა, არ ვიცი, მაგრამ, გარკვეული ცვლილებები რომ არის საზოგადოებაშიც და პოლიტიკურ სპექტრშიც, ეს ვნახეთ თუნდაც გაერთიანებული ოპოზიციის ფარგლებში. რასაკვირველია, მე არ ვთვლი, რომ სააკაშვილისადმი რადიკალური ცვლილებებია, მაგრამ ტენდენცია არის, რომ თანამშრომლობა შეიძლება. მიშას ფაქტორი ისევ რჩება, მაგრამ, თუ ამას დაემატება კიდევ სხვა ფაქტორი, ისეთი, როგორიცაა რევოლუცია, რა თქმა უნდა, ეს სურათს კიდევ უფრო ამძიმებს.

ადამიანებს მობეზრდათ არასტაბილურობა, არეულობა, ქაოსი, რომელიც ახლავს ამ ყველაფერს. მოსახლეობა ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემების წინაშე პირისპირ დგას. ამას ემატება პანდემია. ასე რომ, საზოგადოებაში, მოსახლეობაში არანაირი რევოლუციური განწყობა არ არის. როდესაც ხალხში რევოლუციური განწყობა არ არის, მაშინ რეგულარული ჯარი უნდა გყავდეს, რომ მოახდინო რევოლუცია ან გადატრიალება. ხალხის გარეშე, მისი მხარდაჭერისა და სურვილის გარეშე ასეთი რაღაცები არ ხერხდება, არსად მომხდარა და ვერც მოხდება.

– კობახიძემ კონკრეტული ოლქებიც კი დაასახელა, სადაც არეულობა იქნება.

– ქვემო ქართლი, გლდანი, სამეგრელო, ზუგდიდი – ესენი ის ოლქებია, სადაც რევოლუცია კი არ მზადდება, ეს ის სუსტი რგოლია, სადაც შეიძლება, გარკვეული დაძაბულობა ისედაც იყოს, როგორი მშვიდი არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს. მე მაინც ვთვლი, რომ ეს ყველაფერი უფრო პიარს უკავშირდება, ვიდრე რეალურ შტაბებსა და იარაღის ჟღარუნს.

– ამბობენ, რომ 31 ოქტომბერს ხელისუფლება თავისას მიაღწევს, მისთვის სასურველ შედეგებს და შემდეგ ლოკდაუნს გამოაცხადებს, რომ ოპოზიცია გასაპროტესტებლად ვერ გამოვიდეს. ასეთი სცენარი რამდენად რეალური შეიძლება იყოს?

– დღეს მოსახლეობაში არ არის იმდენად დიდი საპროტესტო განწყობა, რომ ოპოზიციამ შეძლოს რეალური ტალღის აგორება, რომელიც ხელისუფლებას საფრთხეს შეუქმნის, თუნდაც ისეთი ტალღის აგორება, როგორიც არის დღეს ბელარუსში. თუ ოპოზიცია შეძლებს ასეთი საპროტესტო ტალღის აგორებას და ხალხი მართლა გამოვა ქუჩაში საკუთარი პროტესტით და არა ვინმეს დაძახილით, მაშინ ამას არც ლოკდაუნი უშველის და არც არაფერი.

მე მაინც მგონია, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებსა და მათ დასკვნებზე იქნება ბევრი რამე დამოკიდებული და არა იმ დამკვირვებლებზე, რომლებიც წულუკიანმა ჩამოთვალა. თუ საერთაშორისო დამკვირვებლები ჩათვლიან, რომ საქართველოში არჩევნები არა იდეალურად, არამედ ნორმალურად ჩატარდა, მაშინ ამით ყველაფერი დასრულდება. თუ პირიქით მოხდება და იტყვიან, რომ ვერ ჩატარდა რეალური არჩევნები, მაშინ ხელისუფლებას რუსთაველზე კი არ შეექმნება პრობლემები, არამედ ქვეყნის გარეთ და ეს იქნება სერიოზული პრობლემა. დღეს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენაც კი უცხოეთზეა დამოკიდებული. 5 მილიარდი, რომელიც ავიღეთ, მართალია, სესხად, მაგრამ ხომ ავიღეთ, ამაზეა აქ საუბარი.

კიდევ ერთი – თუ ინფიცირებულთა რაოდენობა დაიკლებს, მაშინ როგორ გამოაცხადებს ლოკდაუნს?! და თუ პირიქით, მომდევნო კვირებში მართლაც მიუახლოვდება 4-5 ათასს, რა უნდა ქნას ხელისუფლებამ, ზომები არ უნდა მიიღოს?! ძალიან ადვილად გამოჩნდება, რისთვის გამოაცხადებს ლოკდაუნს ხელისუფლება, პოლიტიკური მიზნით თუ ეპიდვითარებიდან გამომდინარე. ადამიანები ამას საკუთარი თვალით ნახავენ და ძალიან მარტივად მიხვდებიან, რასთან გვაქვს საქმე.

გია ვოლსკი: „ნინო ბურჯანაძე რომ ვიყო, მეც ვიტყოდი, რომ არჩევნები გაყალბდა“

– ღმერთმა დამიფაროს და, მეც რომ ვიყო ბურჯანაძე, ვიტყოდი, რომ გაყალბდა არჩევნები, – ასე ეხმაურება პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი გადაცემაში „რეზიუმე“ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებას, სადაც ის ბიულეტენების გადათვლას ითხოვს, ვინაიდან, აქვს ფაქტები, სადაც ჩანს, რომ მას ბიულეტენების რაოდენობა შეუმცირეს.

გია ვოლსკის თქმით, ნინო ბურჯანაძეს არ აქვს არანაირი საფუძველი, რომ ეჭვი შეიტანოს საარჩევნო კომისიის საქმიანობაში.

– ყველა პარტიას თავისი ბიულეტენი აქვს, რომელსაც დასრულებისას ასლებად იღებენ. ბურჯანაძეს არც შეეძლო სხვანაირად რომ ეთქვა. ღმერთმა დამიფაროს და, მე რომ ვიყო ნინო ბურჯანაძე, მეც ვიტყოდი, მოდით, გაყალბდა, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

წამყვანის კითხვაზე, რატომ არ თანხმდება მმართველი გუნდი საარჩევნო უბნებზე ბიულეტენების გადათვლას, გია ვოლსკი აცხადებს, რომ ასეთი რამის დაშვება არ შეიძლება.

– ჩვენ კი არა, ლოგიკა არ თანხმდება. როგორ შეიძლება ასეთი რამის დაშვება. წარმოიდგინეთ, საქართველოში რამხელა ტალღა აგორდება. საარჩევნო უბნების გახსნის და გადათვლის დაუმთავრებელი აქციაა. მთავარია არჩევნები არ გაყალბდეს. თითო უბანზე დამკვირვებლები, კომისიის წევრები და პარტიის წარმომადგენლები არიან. ნინო ბურჯანაძეს რომ ეთქვა გადათვლა მინდაო, მერე შალვა ნათელაშვილიც იტყოდა, ის ხომ ყველა პარტიაში გამარჯვებულია, „პატრიოტთა ალიანსი“ ხომ ამიერკავკასიის ლიდერია, ნაციონალური მოძრაობა საერთოდ მსოფლიოს ლიდერია. აქედან გამომდინარე, რეალური ქაოსი წარმოიქმნება არა მარტო პარტიების რაოდენობიდან გამომდინარე, არამედ პოლიტიკური კულტურიდანაც, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ცნობისთვის, „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის ეკა ბესელიას ინიციატივას გამოეხმაურა, რომელიც „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანას დაჩქარებული წესით ითხოვს, რაც ბიულეტენების გადათვლის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ბურჯანაძემ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, აუცილებლად დაჩქარებული წესით განიხილოს აღნიშნული კანონპროექტი და მხარი დაუჭიროს.

ლევან ჩაჩუა: „თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ხმების მიწერით ვერავინ გარდატეხას ვერ მოახდენს“

„დასავლეთ საქართველოში აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანებს პოლიტიკოსების სახელის გაგონება აღარ უნდათ. მათთვის ახლობელია ჩვენი იდეები“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ხელისუფლება არჩევნებზე მიიტაცებს კორონავირუსის გამო თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ხმებს. ყველა მათგანმა ვერ გაიარა რეგისტრაცია საარჩევნო ყუთის მიღების მიზნით. თავის მხრივ, ცესკო ამ ოპოზიციონერებს თავისი დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს. თქვენ რას იტყვით?

– ხმების მიტაცება ცუდია, მაგრამ, არა მგონია, ეს ყველაზე მთავარი პრობლემა იყოს. თვითიზოლაციაში მყოფი არარეგისტრირებული ამომრჩევლების ხმების მიწერით ვერავინ გარდატეხას ვერ მოახდენს, ამინდს ვერ შექმნის. ამას არჩევნების შედეგზე გავლენა არ ექნება. არის თუ არა დისკრედიტებული ცესკო, ამას 31 ოქტომბერს დავინახავთ. ჩვენ ამაზე მეტ პრობლემას სხვა რამეში ვხედავთ. 25 ოქტომბერს აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციური პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ – ბილბორდებზე, ბუკლეტებზე და სხვ. დახარჯული თანხები. საუბარია დროის პატარა მონაკვეთზე – 1-ლი სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით. ამ მცირე დროში „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა 11 მილიონი ლარი; „ლელომ“ – 2 მილიონ 600.000; ნაციონალურმა მოძრაობამ – 2 მილიონ 400.000; „ევროპულმა საქართველომ“ – 2 მილიონზე მეტი; „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელმა“ – მილიონ 900.000.

– გინდათ თქვათ, რომ ამ მძიმე სიტუაციაში სააგიტაციო მასაზე კოლოსალური თანხები იხარჯება?

– ეს მართლაც ფანტასტიკური თანხებია. დარწმუნებული ვარ, 12 ოქტომბრის შემდეგ ეს პარტიები ხარჯებს უფრო გაზრდიდნენ. იმის მაგივრად, რომ ხალხს შეხვდნენ, მათი პრობლემები გაიგონ, მილიონებს ხარჯავენ პლაკატებში.

– პარტიები და კანდიდატები ხალხს ხომ ხვდებიან? ყოველ შემთხვევაში, ტელეეკრანებიდან საუბრობენ, რომ არიან გაჭირვებული და მშიერი ადამიანები.

– მათი შეხვედრების შემდეგ რას ფიქრობს ხალხი, ისიც ხომ გასათვალისწინებელია! თბილისისა და მანამდე კახეთისა და ქუთაისის გარდა, ჩვენი მოძრაობის წარმომადგენლები ვიმყოფებოდით ქობულეთში, ფოთში, სენაკში, ზუგდიდში, ოზურგეთში. იქ ვნახეთ ნამდვილი სურათი. გაცვეთილი პოლიტიკური სახეები რომ ბევრს აღიზიანებდა, ეს ადრევე ვიცოდი, დასავლეთ საქართველოში კი სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. ეჭვი მქონდა, რომ მატერიალურმა სიღარიბემ ჩვენი ხალხი სულიერადაც დასცა. ეს ეჭვი გამიქრა. დასავლეთ საქართველოში აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანებს პოლიტიკოსების სახელის გაგონება არ უნდათ. მათთვის ახლობელია ჩვენი იდეები. ისინიც გამოდიან ნარკოტიკების ლიბერალიზაცია-ლეგალიზაციის, კაზინოების, ბორდელებისა და მამათმავლობის ხელშეწყობის წინააღმდეგ. მათთვისაც ძვირფასია ქრისტიანული ღირებულებები. ამ ადამიანების უმრავლესობა გვეუბნებოდა, პარტიები დადიან, მაგრამ ასეთი მოსაზრებები და წინადადებები არც ერთს არ ჰქონიაო. ოჯახი ფულით უზრუნველყოფილიც რომ იყოს, შვილმა შეიძლება ქონება სამორინეში წააგოს. ხალხს ეს კარგად ესმის და უნდა, თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს პარლამენტში. ამ ხელისუფლებაზე ბევრია გაბრაზებული. მან ვერ შექმნა ნორმალური გარემო ვერ სულიერ-ზნეობრივ და ვერც სოციალურ სფეროში.

– საზოგადოებას დავითგარეჯის პრობლემაც აღელვებს.

– რასაკვირველია. დავითგარეჯი ჩვენი სიწმინდე და მოუშუშებელი იარაა. დავითგარეჯში დაიწყო ეროვნული მოძრაობა. წინა წლებში არაერთხელ წავედით დავითგარეჯში და მოვუწოდეთ ხელისუფლებას, მოაგვაროს პრობლემა. ამის გამო ჩემ მიმართ საქმეა აღძრული. ვიყავი სუს-ში. ვინაიდან გაუთქმელობის ხელწერილი მაქვს დაწერილი, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ერთი შემიძლია ვთქვა – სუს-ის თანამშრომლებს ვუთხარი, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა მათი პირდაპირი მოვალეობაა. ჩვენი მხრიდან ეთნიკურ ან რელიგიურ შუღლზე ლაპარაკი აბსურდულია. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ჩვენნაირად ფიქრობს. ისინიც მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას საზღვრის ამ მონაკვეთზეც. ეს თემა ბოლო დროს „ქართულმა ოცნებამაც“ გააქტიურა, რამაც მისი რეიტინგი უფრო დააგდო.

– რატომ დააგდო რეიტინგი? არიან ადამიანები, რომლებიც იწონებენ ხელისუფლების ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

– ხელისუფლებამ დაიწყო, მაგრამ გაჩერდა. კომისიის ორი წევრის დაკავებითა და შემდეგ გაჩერებით „ქართულ ოცნებას“ ჩრდილი მიადგა. დავითგარეჯი ხელისუფლებას იმიტომ გაახსენდა, რომ ცუდად ჰქონდა საქმე. უნდოდა, რეიტინგი გაეზარდა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა. ბილბორდებზეც იმიტომ ხარჯავს ამდენ მილიონს. ამ დროს საკუთარ თანამშრომლებს, მომხრეებს პატარა ხელფასებს უზოგავს.

– რას გულისხმობთ?

– წინა არჩევნების დროს (საპრეზიდენტო, საპარლამენტო) მმართველ პარტიას ჰყავდა კოორდინატორები. მათ დიდი სამუშაო შეასრულეს, მაგრამ დაპირებული ანაზღაურება ვერ მიიღეს. არადა, მილიარდერები და მილიონერები ჰყავთ პარტიაში. ახლა „ოცნება“ უპრეცედენტო მობილიზაციას ახდენს მილიონების ხარჯვით პლაკატებში და დავითგარეჯის თემით. თუ არჩევნები ტოტალურად გააყალბა, ეს არ შერჩება. ჩვენ არ მოვითმენთ ფალსიფიკაციას არც მმართველი პარტიისა და არც კოაბიტირებული პოლიტელიტის სასარგებლოდ. ჩვენი ბრძოლა არჩევნებით არ მთავრდება და არც გაყალბებას მოვითმენთ. ვიწყებთ ახალ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას სისტემის შესაცვლელად. გვყავს მომხრეები ყველგან, ტყვია თუ გაგვაჩერებს, თორემ, ისე არ გავჩერდებით.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „დავითგარეჯის საკითხზე მტკიცებულებები მეც წარვადგინე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.

– პატონო დიმიტრი, როგორც ვიცი, თქვენც აღმოაჩინეთ ახალი გარემოება, რომელიც დავითგარეჯის ტერიტორიის შესაძლო გასხვისების პროცესს უკავშირდება. რა ფაქტებზეა საუბარი?

– დავითგარეჯის თემით 2012 წლის 14 მაისიდან დავინტერესდი, მას შემდეგ, რაც პირველად ჩვენს უახლეს ისტორიაში აზერბაიჯანის მესაზღვრეებმა უდაბნოს მონასტერში მისასვლელი გზა გადაკეტეს. მაშინ გახლდით პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე და ჩემს თანაფრაქციელებთან ერთად გავემართე ჩიჩხიტურისკენ, რომ საქმის ვითარებას გავცნობიდი. იქ შევხვდი აზერბაიჯანის მესაზღვრეების ხელმძღვანელობას, ჩვენი მესაზღვრეების ხელმძღვანელობას და გაირკვა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ბაქოში.

– არ გითხრეს, რის საფუძველზე?

– მათ რაიმე კონკრეტული ახსნა-განმარტება არ გაუკეთებიათ, თქვეს, რომ ეს არის კონკრეტული პრევენციული ზომა, რომ ამ საკითხებზე მომუშავე, დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიამ შემდგომში გადაწყვეტილება მიიღოსო. საქართველოს პარლამენტში დავბრუნდი და გაკეთდა განცხადებები.

ყველაზე ნიშანდობლივი ის იყო, რომ იმავე დღეს, ამ ინციდენტიდან დაახლოებით 3 საათში, საქართველოს მთავრობის სახელით სრულიად მოღალატეობრივი, დანაშაულებრივი განცხადება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ. მან თქვა, რომ დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის წინაშე ჩიჩხიტურის თხემის მონაკვეთი განსახილველი თემა არ არის, ტერიტორიის ეს ნაწილი ისედაც აზერბაიჯანის მხარესაა და ამას ცხადყოფს 1929 წლამდე გამოცემული რუკები. ტექნიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო მოკლებული ვართ შესაძლებლობას, სხვა რამ ვამტკიცოთ და ეს ტერიტორია აზერბაიჯანის მხარესაა.

– ასეთი განცხადებებისთვის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს პასუხი არ უნდა მოეთხოვოთ?

– 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ „ქართულ ოცნებას“, პირველ რიგში, ასეთი ტიპის მოღალატეობრივი განცხადებები უნდა შეესწავლა და მათზე რეაგირება მოეხდინა, რადგან მან მოახდინა საკითხის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება, რომელიც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

2014 წლიდან 2017 წლამდე მიმდინარეობდა აქტიური საძიებო სამუშაოები. 2017 წელს მუშაობა გააქტიურდა უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილის მონაწილეობით. ამ ორი ირაკლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია დავითგარეჯის საკითხის გახსნის საქმეში. ირაკლი ალასანიამ დაიწყო, ირაკლი ღარიბაშვილმა გააგრძელა.

– ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს, რომ დღეს ამ საქმეზე გამოძიების დაწყების დრო არ არის, ზოგი კი ამბობს, რაღა დროს ამ საკითხის გააქტიურებაა.

– ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის მთავარია, რომ ამ საკითხზე საჯარო გამოძიება დაიწყო და კონკრეტული პირები არიან პასუხისგებაში მიცემული. თუმცა ეს სრულიად არასაკმარისად ამხელს ამ საქმეში მონაწილე დანაშაულებრივ ჯგუფს, რომელშიც მოიაზრებიან საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები.

პირადად მე რამდენიმე დღის წინ წარმოვადგინე ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საქმეში მანამდე არ არსებობდა. ეს მტკიცებულებები შეეხებოდა მიწათმოწყობის სახელმწიფო სამეცნიერო საპროექტო ინსტიტუტის გარშემო ატეხილ სკანდალს.

– აქ ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის?

– აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ივერი მელაშვილს არ გააჩნია არავითარი სამეცნიერო ხარისხი, არ არის აკადემიური წრის წარმომადგენელი და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარედ დაინიშნა, რაც ნონსენსია.

მეორე მხრივ, ნატალია ილიჩოვა მუშაობდა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დეპარტამენტის უფროს სპეციალისტად. მასზე ზედამხედველობას აწარმოებდა დღევანდელი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დირექტორი ეკა გიგაური, რომელიც იმ დროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე იყო.

– საინტერესოა, როგორ დაინიშნა სახელმწიფო ენის არმცოდნე ნატალია ილიჩოვა ასეთ მაღალ თანამდებობაზე.

– ეს შემთხვევით არ მომხდარა, ყველაფერი დაკავშირებულია დავითგარეჯის სადავო მონაკვეთის გასხვისების, გაყიდვისა და მუხანათური გადაცემის ფაქტთან, ვინაიდან 2004 წლამდე აზერბაიჯანის სასაზღვრო პოლიციის მესაზღვრეები დაახლოებით 400-500 მეტრში მოძრაობდნენ ჩიჩხიტურის თხემის ძირიდან, რაც სრულიად კანონზომიერი იყო. ეს ასახავდა 1938 წლის რუკით გათვალისწინებული სადემარკაციო ხაზის მონაკვეთს, სადაც გავლებული იყო საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკებს შორის საზღვარი 1936 წლის 5 მარტისა და 21 ივნისის დადგენილებების საფუძველზე.

მას ხელს აწერდნენ საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია და აზერბაიჯანის კომპარტიის პირველი მდივანი ბაგიროვი. ამ ორი პირის მოლაპარაკების შედეგად, 1938 წელს, გამოიცა 200-ათასიანი მასშტაბის რუკა, რომლის მიხედვით საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი გადიოდა ჩიჩხიტურის თხემიდან აზერბაიჯანის სიღრმეში, დაახლოებით 600 მეტრზე, დაახლოებით იმ მონაკვეთში, სადაც 2004 წლამდე აზერბაიჯანის მესაზღვრეები მოძრაობდნენ..

1996 წელს შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის მოლაპარაკებების საფუძველზე შემდგარი ოქმით ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სწორედ 1938 წლის რუკით და არა 1929 წლამდე მიღებული რუკებით, რომელიც ხელმოწერილი იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძისა და აზერბაიჯანის რევკომის თავმჯდომარის ნარიმან ნარიმანოვის მიერ.

ეს ის ნარიმან ნარიმანოვია, რომლის ძეგლი მარნეულის არჩეულმა მერმა, ეროვნებით აზერბაიჯანელმა ზაურ დარგალმა ზარზეიმით გახსნა 2020 წლის 26 მაისს. ნარიმან ნარიმანოვი აზერბაიჯანელი ხალხისთვის გმირად ითვლება, ვინაიდან მან საქართველოს კუთვნილი ზაქათალის ოლქი აზერბაიჯანს გადასცა თავის დროზე. ყარაიას ველთან და დავითგარეჯთან დაკავშირებით ფილიპე მახარაძესთან ხელმოწერილი მუხანათური დოკუმენტის საფუძველზე მცდელობა ჰქონდა, დავითგარეჯის სადავოდ გახდილი მონაკვეთი აზერბაიჯანის საკუთრება გაეხადა. 1929 წელზე დაყრდნობა არის მოღალატეობრივი აქტი.

მე-19 საუკუნის რუკებიც არის, რომლებიც გაქრა. კომისიის გადაწყვეტილება არ ყოფილა რატიფიცირებული, მაგრამ აღნიშნული ქმედება მაინც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რაც გათვალისწინებულია სს კოდექსის 208-ე მუხლით.

ირაკლი ოქრუაშვილი: „არავინ შეეგუება იმას, რომ „ოცნებამ“ არჩევნები გააყალბოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტიებისა და მრავალფეროვანი კოალიციის. ამიტომ მოგვცემენ ხმას ჩვენ და არა – დიდ პარტიებს.

– ამას ამომრჩეველთან შეხვედრის საფუძველზე ამბობთ?

– პოლარიზებული გარემო არ არის. ორპარტიული სისტემა არ არის, როდესაც ამომრჩეველს უწევს არჩევანის გაკეთება ერთს ან მეორეს შორის. არის მრავალფეროვნება და ამომრჩეველს შეუძლია, ეს ან სხვა პარტია აირჩიოს. დაახლოებით ათამდე ასეთი არჩევანია. თუ ათი პარტია მოხვდება პარლამენტში, გაცილებით სხვა ვითარება შეიქმნება, გაჯანსაღდება პოლიტიკური გარემო, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ სკეპტიკური იყო.

– არაერთხელ გაქვთ ნათქვამი, რომ ცივილიზებული საარჩევნო გარემო გინდოდათ. ეს კამპანია შედარებით მაინც თუ იყო ცივილიზებული, წინა არჩევნებთან შედარებით?

– სამართლიანი გარემო ჩემთვის არ ყოფილა ამ კამპანიის დროს, თუნდაც იმის გამო, რომ ძალიან დავიჩაგრეთ. გარდა იმისა, რომ ციხეში წავედი, ადვილი არ იყო ადამიანების დარწმუნება, რომ დამხმარებოდნენ კამპანიის წარმართვაში როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსებით.

– რესურსებიც გადაგიკეტეს?

– რა თქმა უნდა. რესურსები ყველას ჩაკეტილი აქვს, მაგრამ ჩვენ გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, იმიტომ, რომ არსებობენ პარტიები, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან და ჩვენ მსგავსი რამე არ გვაქვს. სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან როგორც პირდაპირი თვალსაზრისით, ასევე ტელევიზიებში უფასო სარეკლამო დროით, რომელიც სახელმწიფოსგან ფინანსდება. ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე. ასევე პრობლემა იყო ის, რომ გვიან ჩავერთეთ კამპანიაში და საბურთალოს მაჟორიტარულ ოლქში ჩემი მაჟორიტარობის გადაწყვეტილებაზე შეთანხმება ოპოზიციამ გვიან მიიღო.

თავისთავად, ვითარება გაგვირთულდა, მოიმატა კორონავირუსის რაოდენობამ და ადამიანებს გაუჩნდათ საფრთხე, შესაბამისად, საარჩევნო შეხვედრები ვეღარ ტარდებოდა ისე, როგორც მანამდე. ეს ყველაფერი რთული იყო ჩვენთვის, მაგრამ მე მაინც იმედიანად ვარ განწყობილი და ზუსტად ვიცი, რომ ხელისუფლება შეიცვლება და გადავალთ კოალიციურ მმართველობაზე, სადაც ჩვენც ვიქნებით წარმოდგენილი, იმედი მაქვს, რამდენიმე ადამიანით.

– ინტერვიუს ბოლოს მიმართეთ ამომრჩეველს.

– 31 ოქტომბერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის დღეა თითოეული ჩვენგანისთვის. მიუხედავად იმისა, პოლიტიკოსია ადამიანი, მეწარმე თუ რა პროფესიისაც არ უნდა იყოს, ყველა ერთად ამ ქვეყნის დასაცავად და იმისათვის, რომ უკეთეს ქვეყანაში ვიცხოვროთ, უნდა მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და გავაკეთოთ სწორი არჩევანი.

მე ვთხოვდი ამომრჩევლებს, შემოხაზონ №17.

1 ნოემბერი უნდა იყოს დღე, როდესაც ყველა გაიღვიძებს და იქნება მშვიდობა და სტაბილური გარემო. ეს ყველაფერი დამოკიდებულია არა ივანიშვილზე, არამედ საზოგადოების თითოეულ წევრზე.

დავით ხვიბლიანი: „ვინც ჩემს პირად ღირსებას ეხება, აუცილებლად ვუჩივლებ“

დავით ხვიბლიანი, რომელიც „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმისას აყვანილ 19 მძევალთა შორის იყო, აცხადებს, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

როგორც ხვიბლიანმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასამართლოში სარჩელი შეაქვს მისი პირადი ღირსების შელახვისთვის, თავდაცვის სამინისტროს შეურაცხყოფისთვის და მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ ის „საქართველოს ბანკზე“ თავდამსხმელის ბადრი ესებუას თანამზრახველია.

– ვინც ჩემს პირად ღირსებას ეხება და უაზრო რამეს ამბობს, აუცილებლად შევიტან საჩივარს. მყავს ადვოკატები და საჩივარი შემაქვს, მაგრამ ამ ყველაფერს არ ვიზამ, ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, რადგან არ მინდა გამოძიებას ხელი შეეშალოს.

ჩემს ყველა კომენტარში აღვნიშნე, რომ მე ამაზე რეაგირება მექნება. საჩივარი შემაქვს ასევე იმაზე, რომ ჩემს პირად ღირსებას და ასევე თავდაცვის სამინისტროს აყენებენ შეურაცხყოფას, – განაცხადა დავით ხვიბლიანმა.

დავით ხვიბლიანის ადვოკატის, დავით ცინცაძის, განცხადებით, სამომავლოდ სამოქალაქო სარჩელის შეტანას აპირებს ხვიბლიანის მიმართ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბადრი ესებუას თანამზრახველია.

დავით ცინცაძეს არ დაუზუსტებია კონკრეტულად პირი, რომლის წინააღმდეგაც შეაქვს სარჩელი. თუმცა განმარტა, რომ გროვდება მტკიცებულებები მედიით გასული ინფორმაციების შესახებ, თუ ვინ არიან ამ ინფორმაციის გამავრცელებლები.

– სარჩელი ზოგადად შეგვაქვს იმ პირთა წრის მიმართ, ვინც უხეშად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. მართალ ადამიანს, რომლის მიმართაც არავითარი მტკიცებულებები არ არსებობს, აცხადებენ საკმაოდ მძიმე დანაშაულის თანამონაწილედ და ტერორისტული აქტის ჩამდენის თანამზრახველად. ბუნებრივია, აუცილებლად შევიტანთ მათ მიმართ სარჩელს. მხოლოდ და მხოლოდ, არა ვინმეს მიმართ რაიმე სამართლიანი ზიანის მიყენების გამო, არამედ ამ ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, ყველამ უნდა ისწავლოს და დამკვიდრდეს ის სამართლებრივი მართლშეგნება, რომ არ შეიძლება ადამიანი გამოცხადდეს დამნაშავედ, თუ მის მიმართ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება.

მაშინ, როცა ჩვენთვის ჯერჯერობით საერთოდ არ არის ცნობილი აქვს თუ არა ბრალი წაყენებული კონკრეტულ პიროვნებას, რაც ტელევიზიით გაჟღერდა, საუბარია ვინმე ესებუაზე, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ხვიბლიანი რაიმეში მონაწილეობს.

ვაგროვებთ მტკიცებულებებს მედიით გასული ინფორმაციების შესახებ, თუ ვინ არიან ამ ინფორმაციის გამავრცელებლები. ვისი მტკიცებულებაც გვექნება, იმ ადამიანთა წინააღმდეგ შევიტანთ. მოვითხოვთ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების აკრძალვას, – განაცხადა ცინცაძემ.

„მსჯავრდებულ ე.კ.-ს სამედიცინო მომსახურება 66.537.5 ლარი დაჯდა“

სპეციალური პენიტენციარული სამსახური ადვოკატ კუბლაშვილს პასუხობს

სოციალური ქსელის საშუალებით ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, №18 პენიტენციარულ დაწესებულებაში პატიმრებს მედპერსონალი ყურადღებას არ აქცევს.

„ერთ-ერთ ჩემს კლიენტს, რომელსაც ერთი ფეხი მოჰკვეთეს იქვე და ახლა მეორე ფეხია მოკვეთის საშიშროების წინაშე, წამალსაც არ აწვდიან გამაყუჩებელს“, – წერს ადვოკატი კუბლაშვილი სოციალურ ქსელში.

სპეციალური პენიტენციარული სამსახური აცხადებს, რომ ეს არის სიცრუე.

სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, მსჯავრდებულ ე.კ.-ს, რომელსაც სავარაუდოდ გულისხმობს ადვოკატი, საჭიროებიდან გამომდინარე სათანადო მკურნალობა უტარდება (ისევე, როგორც ყველა სხვა პატიმარს) და შეთავაზებული აქვს ყველა შესაბამისი სამედიცინო სერვისი. კერძოდ, მსჯავრდებული ე.კ. №18 (სამკურნალო) დაწესებულებაში 2020 წლის 25 მაისს მოთავსდა დიაგნოზით: ქვემო კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი; ანგიოქირურგიული ჩარევების შემდგომი მდგომარეობა; მარცხენა ქვემო კიდურის მუხლზედა ამპუტაციის შემდგომი მდგომარეობა; კიდურის ფანტომური ტკივილები; შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2, ინსულინმომხმარებელი; ტრემორი; მიოკარდიუმის გადატანილი ძველი ინფარქტი და მკურნალობის კურსს ახლაც გადის.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მსჯავრდებულ ე.კ-ს №18 დაწესებულებაში მოთავსებამდეც მრავალჯერ გაწია სამედიცინო მომსახურება სამოქალაქო სექტორის არაერთ კლინიკაში. კერძოდ, 2018 წელს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში ჩაუტარდა ჯერ მარჯვენა ქვედა კიდურის მაგისტრალური არტერიების სტენტირება და შემდგომ მარცხენამხრივი ბარძაყ-მუხლქვეშა შუნტირება და მარცხენამხრივი მუხლქვეშა არტერიის პლასტიკა. ასევე 2019 წელს შპს „ავერსის“ კლინიკაში ჩაუტარდა ბარძაყ-მუხლქვეშა და ბარძაყ-ტიბიალური შუნტის ამოკვეთა. 2019 წლის 16 ოქტომბერს საჭირო გახდა მარცხენა ქვემო კიდურის მუხლზედა მიოპლასტიკური ამპუტაცია. ხოლო 2020 წლის 20 მაისს მსჯავრდებულ ე.კ.-ს კლინიკა „ვივამედში“ გაუკეთდა მარჯვენა თეძოს საერთო და გარეთა არტერიის სტენტირება, თრომბენდარტერექტომია, ბარძაყის არტერიის პლასტიკა.

სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, მსჯავრდებულ ე.კ. სისტემატური მკურნალობის კურსს გადის ანგიოქირურგის, ენდოკრინოლოგისა და ნევროპათოლოგის დანიშნულების საფუძველზე.

ამასთან, მსჯავრდებული №18 სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში რამდენიმეჯერ იქნა გაყვანილი გამოკვლევებისთვის სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა კლინიკაში. ბოლოს 2020 წლის 20 ოქტომბერს მას კლინიკა „ვივამედში“ გაეწია ნევროპათოლოგის კონსულტაცია და დაესვა დიაგნოზი: კიდურის ფანტომური ტკივილები. მსჯავრდებულს ე.კ-ს დაენიშნა და ამ ეტაპზე მიეწოდება შესაბამისი თერაპია (თიოგამა, დულოქსეტინი, დიკლოფენაკი და სხვა სიმპტომური ანალგეზიური მედიკამენტები), გარდა ამისა, უგრძელდება ინსულინოთერაპია და მიეწოდება ანტიკოაგულანტები.

„მსჯავრდებულისთვის 2018-2020 წლებში მხოლოდ სამოქალაქო სექტორის კლინიკებში ჩატარებული გამოკვლევები და ქირურგიული ჩარევები სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურს 66.537.5 ლარი დაუჯდა. ამ ციფრებიდან გამომდინარე ადვოკატის მხრიდან მედიკამენტების მიწოდებაზე საუბარი რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 7 სექტემბერს სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომ მსჯავრდებულს მარცხენა ქვედა კიდურის პროტეზი დაუმზადდეს.

უახლოეს პერიოდში მსჯავრდებულს ეს მომსახურებაც მიეწოდება.

შესაბამისად, რაიმე სახის უყურადღებობაზე ან სამედიცინო სერვისის არმიწოდებაზე საუბარი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ბადრი ესებუა სამხედრო სამსახურიდან 2019 წელს დავითხოვეთ“

თავდაცვის სამინისტროს განცხადება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ზუგდიდში „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმასა და ტერორისტულ აქტში ბრალდებული ბადრი ესებუა თავდაცვის ძალებში არ ირიცხება და ის სამსახურიდან 2019 წლის ივლისში გაათავისუფლეს.

უწყება დოკუმენტს ავრცელებს იმის დასადასტურებლად, რომ ის მოქმედი სამხედრო მოსამსახურე არ არის.

„საზოგადოებისა და თავდაცვის ძალების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ვავრცელებთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება, რომ თავდასხმაში ბრალდებული პირი, ბადრი ესებუა არ არის მოქმედი სამხედრო მოსამსახურე“, – წერს უწყება.

სამინისტროს მიერ გავრცელებულ ბრძანებას ხელს პოლკოვნიკი ტატალაშვილი აწერს.

შეგახსენებთ, რომ ბადრი ესებუას სამართალდამცავები მეორე კვირაა, ეძებენ.

„ყურში ცუდად ესმოდა და საყვირის ხმა ვერ გაიგო“

ნოჯიხევში 56 წლის ქალი მატარებელმა გაიტანა

გუშინ, 28 ოქტომბერს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში მატარებელი 56 წლის ქალს დაეჯახა.

ქალი ადგილზე დაიღუპა, მისი ცხედარი კი მდინარე ხობისწყალში გადავარდა.

შემთხვევა დღის პირველ ნახევარში მოხდა.

„მთავარის“ ინფორმაციით, ქალს სმენის პრობლემა ჰქონდა, რის გამოც თბილისი-ზუგდიდის მატარებლის საყვირის ხმა ვერ გაიგო.

ცხედარი უკვე იდენტიფიცირებულია.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ 275-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ვახტანგ გომელაურმა ანაკლიაში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ანაკლიაში ევროპული სტანდარტების ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გახსნა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი და სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ანაკლიას ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე სახანძრო-სამაშველო შენობა მოემსახურება. სამსართულიანი შენობის არქიტექტურა სრულად აკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნილებებს და მასში ინტეგრირებულია როგორც სახანძრო-სამაშველო, ასევე, წყალზე სამაშველო ფუნქციები. აღნიშნულ განყოფილებაში იმუშავებს 30 მეხანძრე-მაშველი, რომლებსაც პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ამ დრომდე ანაკლიაში სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ იყო. შენობის გახსნასთან ერთად, შეიქმნა და ამოქმედდება ახალი სახანძრო-სამაშველო განყოფილება, რაც გაზრდის სტიქიაზე რეაგირების ეფექტიანობას.

ანაკლიაში, ასევე, განთავსდება მყვინთავთა ჯგუფი. 2020 წლის სექტემბერში ჩატარებული რეფორმის შედეგად შეიქმნა მყვინთავთა დასავლეთ საქართველოს განყოფილება, რამაც შესაძლებელი გახადა ანაკლიაში მყვინთავ მაშველთა დანაყოფის ჩამოყალიბება. ამავე რეფორმის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, მყვინთავების ანაზღაურება 100%-ით გაიზარდა.

ახალ შენობაში თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო, სასწავლო და საძინებელი ოთახები, ასევე, სპორტული დარბაზი და სამზარეულო. შენობაში გათვალისწინებულია სპეციალური სადგომი ორი სახანძრო და ერთი სამაშველო ავტომანქანისთვის.

2012-2020 წლებში აშენდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობები: ამბროლაურში, ყაზბეგში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, სიღნაღსა და ბორჯომში. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს და სრულდება ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, მარტვილში, ჩოხატაურსა და აბასთუმანში.

თამაზ ხომასურიძეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული არასრულწლოვნის, ზ.ხ.-ს მამის თამაზ ხომასურიძის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა დასრულდა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ხომასურიძის ადვოკატი მამუკა ბასილაშვილი განმარტავს, ექსპერტიზის შედეგი დაახლოებით, ორ კვირაში გახდება ცნობილი.

სწორედ აღნიშნულმა ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა თამაზ ხომასურიძე დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი.

გუშინ, 28 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა ბრალდებულის წინასასამართლო პროცესი და საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა.

მამუკა ბასილაშვილის განცხადებით, სასამართლო პროცესზე, რომელიც დისტანციურ რეჟიმში წარიმართა, თამაზ ხომასურიძემ სიტყვით ისარგებლა და ყველას ბოდიში მოუხდა, თუკი ვინმეს აწყენინა.

ადვოკატის თქმით, ხომასურიძე ბრალს აღიარებს და ამბობს, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება ისეთ მდგომარეობაში აქვს ჩადენილი, როცა ვერ აცნობიერებდა თუ, რას აკეთებდა.

ცნობისთვის, თამაზ ხომასურიძეს ცრუ ჩვენების მიცემას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციას, მუქარასა და სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის ინსპექტორზე თავდასხმას ედავებიან.

მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული საქონელი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან უცხო ქვეყნის მოქალაქის ჰ.ა.-ს მართვის ქვეშ არსებული საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელი სატვირთო ავტომობილი შემოვიდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრების მიერ, რისკის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, აღნიშნული ტვირთი შესაბამის საბაჟო კონტროლის პროცედურებს დაექვემდებარა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“ უფლებამოსილი მებაჟე ოფიცრის მიერ, შემდგომი საბაჟო კონტროლის ფარგლებში, საქონლის ფიზიკური დათვალიერების შედეგად სხვადასხვა დასახელების არადეკლარირებული საყოფაცხოვრებო საქონელი და ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები გამოვლინდა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 64.088.99 ლარი შეადგინა.

მათივე ინფორმაციით, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

საბურთალოზე მეზობლებმა ერთმანეთი დაჭრეს

საბურთალოზე ინციდენტი მოხდა. კარტოზიას ქუჩის 2 ნომერში ერთმანეთს მეზობლები დაუპირისპირდნენ.

„კურიერის“ ინფორმაციით, გამოყენებული იყო ცივი იარაღი. ერთ-ერთმა პირმა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიიღო. ერთ-ერთ პირს მსუბუქი დაზიანება მხრის არეში აქვს მიყენებული.

მომხდარი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. კონფლიქტის მიზეზი უცნობია. დაპირისპირებაში მონაწილე ყველა პირი იდენტიფიცირებულია.

ნაფარეულში მანქანას საბურავი გაუსკდა და ამოტრიალდა

44 წლის ქალი დაიღუპა

გუშინ, 28 ოქტომბერს, ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში.

მსუბუქ ავტომობილს, რომელიც მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, საბურავი გაუსკდა. შედეგად ის რამდენიმეჯერ ამობრუნდა.

ადგილზე გარდაიცვალა ავტომობილში მჯდომი ერთი მგზავრი, 44 წლის ქალი, ორი მგზავრი კი დაშავდა. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, რომელმაც საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა.

საერთაშორისო

ილჰამ ალიევი: „ოკუპაციისგან კიდევ 13 სოფელი გათავისუფლდა“

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი იმ 13 სოფელს ასახელებს, რომლებიც, მისი ინფორმაციით, აზერბაიჯანულმა არმიამ გაათავისუფლა.

„ბრწყინვალე აზერბაიჯანულმა არმიამ ოკუპაციისგან გაათავისუფლა ზანგილანის რაიონის სოფლები: ბირინჯი აღალი, იკინჯი აღალი, უჩუნჯუ აღდალი, ზარნალი, ფუზულის რაიონის სოფელი მანდილი, ჯაბრაილის სოფლები: გაზანზემი, ხანაგაბულაგი, ჩულუ, გუშჩულარი, გარააგაჯი, გუბადლის რაიონის სოფლები: გიიასლი, ედლიჯა, გილიჯანი. დიდება აზერბაიჯანის არმიას! ყარაბაღი აზერბაიჯანია! „ – წერს ილჰამ ალიევი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

სომხეთის მიერ ქალაქ ბარდას დაბომბვის შედეგად დაიღუპა 21 და დაშავდა 70-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე.

ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ქვეყნის გენერალურ პროკურატურაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, სომხეთმა ქალაქის დასაბომბად კასეტური ბომბები გამოიყენა.

მანამდე აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუშინ, 28 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით 13:00 საათზე, სომხეთმა ქალაქი ბარდა დაბომბა, რის შედეგადაც დაიღუპა 14 და დაშავდა 40-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, სერიოზულად დაზიანდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო საშუალებები.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში 70 მილიონზე მეტმა ადამიანმა ხმა უკვე მისცა

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში წინასწარი ხმის მიცემის უფლებით 70 მილიონზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა, რაც ქვეყნისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არჩევნებში საკუთარი პოზიცია 24 ოქტომბერს ფლორიდის შტატში დააფიქსირა.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ „ხმა მისცა კაცს, რომლის სახელიც ტრამპია“.

ჯო ბაიდენს მხარს გამოკითხულთა 51% უჭერს, დონალდ ტრამპს კი – 40%.

საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში 3 ნოემბერს გაიმართება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ქალთა ნაკრებმა ისრაელთან ნააგო

საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-8 შეხვედრაში ისრაელის ნაკრებს დაუპირისპირდა. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და სტუმართა გამარჯვებით – 1:2 დასრულდა.

ანგარიში სწრაფი გოლით გაიხსნა, ისრაელის ნაკრები მე-10 წუთზე კორალ ჰაზანმა დააწინაურა. სტუმრებმა უპირატესობის გაზრდა მეორე ტაიმში მოახერხეს, 61-ე წუთზე თათია გაბუნიას კარი რაჰელ შტაინშნაიდერმა აიღო.

ჩვენმა გუნდმა სხვაობის შემცირება მალევე მოახერხა – 70-ე წუთზე შორეული საჯარიმო დარტყმით მეტოქეს თეონა ბაქრაძემ გაუტანა. გატანილი გოლი შემდეგ საქართველოს ნაკრები გააქტიურდა, მაგრამ 79-ე წუთზე მსაჯმა ნინო პასიკაშვილს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა. ლევან ბაჯელიძის გუნდმა დარჩენილ დროში ანგარიშის შეცვლა ვეღარ მოახერხა.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბუნია, ქადაგიშვილი, პასიკაშვილი, ჩხარტიშვილი, ჯოჯუა, ჭიჭინაძე, ჭყონია, ბაქრაძე, დანელია (სულაშვილი 46), სუთიძე, თოდაძე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ფერმის მინდორში უიშვიათეს განძს მიაგნეს

განძის მაძიებლებმა ინგლისის ოქსფორშირის საგრაფოს ქალაქ უოლინგფორდში ფერმის მინდორში უიშვიათესი მონეტა იპოვეს.

ვერცხლის პენი 64 წლის ჯონ დენემმა თავის ორ შვილთან საიმონთან და სტივენთან ერთად იპოვა.

ისინი მაშინვე მიხვდნენ, რომ უჩვეულო განძს მიაგნეს. განძის მაძიებლებმა ინფორმაცია ინტერნეტში მოიძიეს და გამოარკვიეს, რომ მონეტა დამზადებული იყო 1139-დან 1148 წლამდე პერიოდში, როდესაც ჰენრი II ჯერ კიდევ არ იყო ტახტზე ასული და მის დასაკავებლად იბრძოდა.

ჯონ დენემის თქმით, მინდორი არც ისე დიდი ხნის წინ იყო მოხნული და ამის გამო ბევრი უძველესი მონეტა დაზიანდა, ასე რომ, მათ გაუმართლათ, რომ დაუზიანებელ პენის მიაგნეს.

– ეს უოლინგფორდის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. მონეტა მიწაში თითქმის ათასი წელი ინახებოდა და ამის მიუხედავად, კარგადაა შემონახული, – დაამატა საიმონ დენემმა.

ნაპოვნ მონეტას გასაყიდად ლონდონში აუქციონზე გაიტანენ. ის წინასწარ 6-7 ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული. გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას განძის მაძიებლები და ფერმის მფლობელი გაიყოფენ.

აუქციონის ექსპერტმა ნაპოვნ პენის უიშვიათესი უწოდა, ვინაიდან ის ერთადერთი მონეტაა, რომელიც ჰენრი II სამოქალაქო ომის დროს გამოუშვა.

საქორწინო ფოტოსესიამ სიძე-პატარძალი სკანდალში გახვია

დიდ ბრიტანეთში რკინიგზაზე გამართული საქორწინო ფოტოსესია სკანდალით დასრულდა.

რკინიგზის კომპანია Network Rail-მა საქვეყნოდ გააკრიტიკა სიძე და პატარძალი, რომლებმაც საქორწინო ფოტოსესია ნორტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ უიტბის მახლობლად რკინიგზის ხაზზე მოაწყვეს.

– საქორწინო ფოტოსურათის ან სელფის რკინიგზის ხაზზე გადაღება, ნამდვილი სისულელეა, განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა ალან სპენსმა.

კომპანიას მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო პოლიციამ.

– რკინიგზა სრულიად შეუფერებელი და არცთუ უსაფრთხო ფონია ამგვარი ფოტოსესიისთვის, როგორ თავშესაქცევადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, – ხაზგასმით აღნიშნა ვიცე-პოლკოვნიკმა ელისონ ევანსმა.

მართალია რკინიგზის კომპანიამ სიძე-პატარძლის ვინაობა არ გაამხილა, მაგრამ, სამაგიეროდ, სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

უელსში მაღაზიებს ზამთრის ტანსაცმლის და იატაკის საწმენდი ჯოხების გაყიდვა აუკრძალეს

უელსში სუპერმარკეტებს მთელი რიგი ისეთი საქონლის გაყიდვა აუკრძალეს, რომლებიც პირველადი მოხმარების სიაში არ იქნენ შეტანილები. ამ სიაში მოხვდა საწმენდი საშუალებები, ზამთრის ჩასაცმელები, ელექტროტექნიკა და ბავშვის ტანსაცმელი. ამან ადგილობრივების გაოგნება გამოიწვია.

ახალი წესების თანახმად, ქვეყანაში დაიხურა ყველა გასართობი დაწესებულება, ასევე ის მაღაზიები, რომლებიც პირველადი მოხმარების საქონლით არ ვაჭრობს. ამავე დროს მსხვილ სავაჭრო ცენტრებში დაიკეტა ის განყოფილებები, რომლებიც ამ კატეგორიაში ვერ მოხვდნენ.

– ახლა სუპერმარკეტებში ბოდიალის დრო არ არის იმ ნივთების საყიდლად, რომლებიც პირველადი მოხმარების კატეგორიაში არ შედის, – განაცხადა უელსის პირველმა მინისტრმა მარკ დრეიფკორდმა. თუმცა ადგილობრივმა მოსახლეობამ ახალი წესები მეტისმეტად მკაცრად მიიჩნია.

წაქცეული ხის ქვეშ განძს მიაგნეს

სლოვაკეთის პიეშტიანის მახლობლად შუა საუკუნის დროინდელი მონეტების დიდ განძს მიაგნეს.

აღმოჩენა ეკუთვნის ტურისტს, რომელმაც წაქცეული ხის ფესვების ქვეშ უსწორმასწორო ფორმის ურჩხულის გამოსახულებიანი ვერცხლის ფირფიტები შენიშნა. მისი მიმართვის შემდეგ ტრნავაში ძეგლთა მართვის რეგიონალურმა სამმართველომ მითითებულ ადგილზე საკუთარი სპეციალისტები გააგზავნა. მათ ხის გარშემო ადგილი შეამოწმეს და ლითონმაძიებელი მოწყობილობის დახმარებით განსაზღვრეს ის ადგილი, სადაც მოწყობილობის სიგნალი განსაკუთრებით ძლიერდებოდა. ლითონმაძიებელი მოწყობილობა რეაგირებას ახდენდა შუა საუკუნეების დროინდელ ათეულობით მონეტაზე, რომლებიც მიწაში იყო ჩამარხული. განძის დიდი ნაწილი ვენური პფენინგებისგან შედგებოდა, დანარჩენები კი უნგრეთში 1251-დან 1330 წლამდე დამზადებულ ყალბ პფენინგებს წარმოადგენდა.

სულ წაქცეული ხის ქვეშ 147 მონეტა აღმოჩნდა. განძის შეფასების შემდეგ, მისი აღმომჩენი ტურისტი სახელმწიფოსგან ჯილდოს მიიღებს.

შეცდომამ მამაკაცი მულტიმილიონერად აქცია

კანადელმა შეცდომით ერთი და იგივე რიცხვებიანი ორი ლატარიის ბილეთი იყიდა და შედეგად ორმაგი ჯეკპოტი მოხსნა.

კანადის ალბერტის პროვინციის მცხოვრებმა ენდრიუ ბერკმა ავტომგასამართ სადგურზე შეიარა და ორი ცალი ლატარიის ბილეთი შეიძინა. სახლში დაბრუნებულმა მამაკაცმა შენიშნა, რომ მათი ნომრები ერთმანეთს სრულად ემთხვეოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბერკმა გაიგო, რომ მისი ბილეთები მომგებიანი აღმოჩნდა. ლატარიის გამართვის წესების თანახმად, მთავარი პრიზი, ხუთი მილიონი კანადური დოლარი უნდა განაწილდეს იმ იღბლიანებზე, რომლებმაც ერთი და იგივე ნომრიანი ბილეთები შეიძინეს. ვინაიდან ბერკი გახდა ორივე იღბლიანი ბილეთის მფლობელი, ის მთელ თანხას მიიღებს.

მამაკაცი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როდესაც ლატარიის გათამაშების შედეგს ნახულობდა.

– ქორწილის დროს ჩემმა სიდედრმა თქვა, რომ ყოველთვის მილიონერ სიძეზე ოცნებობდა, მან კი მიიღო სიძე, რომელიც ფულს მილიონერივით ხარჯავდა, – იხსენებს იღბლიანი კანადელი და იქვე დაამატა, რომ მისი სიდედრი უზომოდ გახარებული იქნება მას შემდეგ, როდესაც გაიგებს, რომ მისი ოცნება ახდა და ახლა უკვე მილიონერი სიძე ჰყავს.

მოგებული თანხის მიღების შემდეგ ბერეკმა სამსახურს თავი დაანება. მან აღიარა, რომ მოგებული თანხა ავტომობილის შეკეთებაში, მეურნეობის აწყობასა და მშვიდად პენსიაზე გასვლაში დაეხმარება.

წყვილმა სახლის შეკეთების დროს ვისკის სამალავს მიაგნო

ამერიკის ნიუ-იორკის შტატის სოფელ ეიმსის მკვიდრმა წყვილმა ნაყიდი სახლის შეკეთების სამუშაოების დროს აღმოაჩინა სამალავი, რომელშიც 1920 წელს გამოშვებული ვისკის ბოთლები ინახებოდა.

ნიკ დრამონდმა და მისმა პარტნიორმა პატრიკმა ძველი სახლი იყიდეს და მის შეკეთებას შეუდგნენ. მეზობელმა მათ უთხრა, რომ ოდესღაც ეს სახლი გერმანელმა ბარონმა და ბუტლეგერმა ააშენეს.

– ჩვენ ეს ისტორია მოგვეწონა, თუმცა მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება სკეპტიკური იყო. ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ ის ნაწილობრივ მაინც სიმართლეს წარმოადგენდა, – აღნიშნა დრამონდმა.

სახლის შეკეთების სამუშაოების დროს მისმა ახალმა მფლობელებმა იატაკის ქვეშ კედლებში სამალავები აღმოაჩინეს, რომლებშიც 1920 წლით დათარიღებული ვისკის ბოთლები ეწყო. დრამონდმა და მისმა პარტნორმა დაახლოებით 60-მდე ასი წლის ვისკის ბოთლები აღმოაჩინეს, რომელთაგან დაახლოებით მესამედი სასმელით იყო სავსე.

დრამონდმა სახლის ადრინდელ მფლობელზე ინფორმაციის მოძიება დაიწყო და გაიგო, რომ ის მართლაც ბუტლეგერი იყო, სახელად ადოლფ ჰამპფნერი და რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ მსგავს სამალავებს მის მფლობელობაში მყოფ სხვა შენობებსა და სატრანსპორტო საშუალებებში მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ვახუშტი კოტეტიშვილის 85 წლის იუბილე მთარგმნელთა კონკურსით აღინიშნება

პოეტისა და მთარგმნელის ვახუშტი კოტეტიშვილის 85 წლის იუბილე მისივე სახელობის მთარგმნელთა კონკურსით აღინიშნება.



ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსს ახალგაზრდა მთარგმნელთათვის გამომცემლობა „დიოგენე“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად ატარებს.

კონკურსი ჩატარდება სამ ნომინაციაში: პოეზია, მხატვრული პროზა, არამხატვრული ტექსტი – დოკუმენტური პროზა, ესეისტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია 20-დან 35 წლამდე ასაკის ნებისმიერ მსურველს. თითოეულ მონაწილეს განაცხადის წარდგენა შეუძლია მაქსიმუმ ორ ნომინაციაში. საკონკურსოდ წარდგენილი თარგმანი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით.

მონაწილეობის მსურველებს საკონკურსო განაცხადის გაგზავნა 1-დან 10 ნოემბრის ჩათვლით შეუძლიათ. კონკურსის გამარჯვებულები დეკემბერში გამოვლინდებიან. საპრემიო ფონდი 5400 ლარს შეადგენს. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სულ 9 პრემია გაიცემა ნომინაციების მიხედვით: 3 პირველი პრემია, თითოეული 1000 ლარი, 3 მეორე პრემია, თითოეული 500 ლარი, 3 მესამე პრემია, თითოეული 300 ლარი. კონკურსის ფარგლებში გამოიცემა საუკეთესო თარგმანების კრებული.

გია ყანჩელის ნაწარმოებს სანტა ჩეჩილიას გუნდი შეასრულებს



29 ოქტომბერს რომში ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ნაწარმოებს სანტა ჩეჩილიას გუნდი შეასრულებს.

ინფორმაცია ოპერის მომღერალმა მადინა სერებრიაკოვა-კარბელმა გაავრცელა:

– ძალიან სასიამოვნო ამბავი! ყანჩელის ნაწარმოებს სანტა ჩეჩილიას გუნდი და ორკესტრი შეასრულებს რომში 29 ოქტომბერს. თუ მოგიწევთ ამ დროს იქ ყოფნა, არ გამოტოვოთ!

ქართული ფილმი ევროპული კინოდაჯილდოების კანდიდატია

ირინე ჟორდანიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მარქსის ქუჩა №12“ ევროპული კინოდაჯილდოების 2020 წლის გამოშვების კანდიდატია მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიისთვის. კანდიდატების სია ევროპულმა კინოაკადემიამ გამოაქვეყნა და 24 საუკეთესო ფილმი შეირჩა.

თითოეული ფილმი კანდიდატად ბერლინის, ვენეციის, ლოკარნოს, სარაევოს, კლერმონ ფერანისა და როტერდამის კინოფესტივალებმა წარადგინეს. ირინე ჟორდანიას ფილმზე არჩევანი ტალინის მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა შეაჩერა.

წარმოდგენილი 24 კანდიდატი ფილმიდან ევროპული კინოდაჯილდოების მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიის ნომინანტი მხოლოდ 5 ფილმი გახდება. როდესაც გასაჯაროვდება ნომინანტების სრული სია, ევროპული კინოაკადემიის 3800 წევრი ხმის მიცემას დაიწყებს. გამარჯვებულები ევროპული კინოს დაჯილდოების ცერემონიალზე რეიკიავიკში 12 დეკემბერს გამოვლინდებიან.

ევროპული კინოდაჯილდოების ცერემონია ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა, რომელსაც ევროპაში წლიდან წლამდე დიდი ინტერესით ელიან. წითელ ხალიჩაზე თავს იყრიან მსოფლიო კინოს ვარსკვლავები, ცერემონია გადაიცემა არაერთი ევროპული წამყვანი ტელეარხის პირდაპირ ეთერში, რადგან იგი ევროპული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრებს აფასებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბართომეუ გადადგა, ბარსელონის თავზე საპრეზიდენტო არჩევნები ტრიალებს

ხოსეპ მარია ბართომეუ ბარსელონის პრეზიდენტი აღარ არის. კლუბის დირექტორატის მიერ გამართულ კრებაზე ბართომეუმ და სხვა დირექტორებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ნებით მანამდე გადამდგარიყვნენ, სანამ უნდობლობის ვოტუმის წინაშე დააყენებდნენ.

ბართომეუ და დირექტორატი ბოლო წუთამდე ცდილობდნენ, კატალონიის მთავრობაზე ზემოქმედება მოეხდინათ და მოსალოდნელი რეფერენდუმი გადაეთქმევინებინათ. როგორც ჩანს, საბოლოოდ დაინახეს, რომ საქმე წაგებული იყო და თავად დაასწრეს მოვლენებს.

ბარსელონის მე-40 პრეზიდენტი თანამდებობას არჩევნებამდე ტოვებს, ეს კი კლუბის ბოლო 5 პრეზიდენტიდან მე-4 შემთხვევაა.

დიახ, ბართომეუს პრეზიდენტობა, ხოსეპ ლუის ნუნიესის, ჟოან გასპარისა და სანდრო როსელის მსგავსად, ნაადრევად სრულდება. ჟოან ლაპორტა კი, ჩამოთვლილი პრეზიდენტებისგან განსხვავებით, ერთადერთია, რომელმაც საპრეზიდენტო ვადა (უნდობლობის გამოცხადების მიუხედავად) ბოლომდე დაასრულა (2003-10).

ხოსეპ მარია ბართომეუ:

– ვაცხადებ ჩემი და დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრების გადადგომის შესახებ. ბაიერნთან წაგების შემდეგ წასვლა მარტივი საქმე იქნებოდა. დამარცხების მეორე დღეს, კლუბის მომავლისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ფუნდამენტური გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული. ეს უნდა გაგვეკეთებინა პანდემიის პერიოდში და იმ დროს კლუბის დატოვება არ შეგვეძლო. ვინ მოიყვანდა ახალ მწვრთნელს, გააკეთებდა ტრანსფერებს, შეინარჩუნებდა მესის ან შეცვლიდა ხელფასებს? ჩვენ, როგორც ხელმძღვანელობას, ეს უნდა გაგვეკეთებინა.

წესდების თანახმად, პირველივე დღეს დავნიშნეთ ახალი არჩევნები. ვადამდელი გადადგომა რამდენიმე კვირის განმავლობაში ძალაუფლების ვაკუუმს შექმნის. გადადგომის მიზეზი მარტში დაგეგმილ არჩევნებამდე არ გვქონდა. ზეწოლის მიუხედავად, წასვლა არ გვინდოდა. ისეთ კლუბში, როგორიც ბარსელონაა, ხელმძღვანელობის ცვლილებები ორგანიზებული უნდა იყოს. მოსაზრება, რომ ჩვენ რაღაც დასამალი გვაქვს და რაღაცის გვეშინოდა, სრულიად არასწორია.

ჩვენ ბარსელონის მართვა კლუბისა და ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში მოგვიწია. ჩემთვის პატივი იყო ამ კლუბში მუშაობა როგორც მენეჯერისთვის და როგორც პრეზიდენტისთვის. იმედია, პერსონალის ხელფასების ცვლილებები რამდენიმე დღეში დასრულდება. ამის შეუსრულებლობას შეიძლება კლუბისთვის სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ვიმედოვნებ, რომ ყველა მხარე შეთანხმდება.

რა ხდება ახლა, სანამ კლუბს ახალი პრეზიდენტი ეყოლება? წესდების თანახმად, დირექტორთა საბჭოს გადადგომის შემდეგ უნდა შედგეს დროებითი დირექტორთა საბჭო, რომელსაც მმართველი კომისია ეწოდება. ამ კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ბარსელონის ფინანსური კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ბარსელონის ოფიციალური წევრების ომბუდსმენთან ერთად მმართველი კომისიის შემადგენლობას აკომპლექტებს.

ამჟამად ბარსელონის ფინანსური კომისიის ხელმძღვანელი კარლეს ტუსკეტსია და ბართომეუს დროებითი შემცვლელი სწორედ ის იქნება. თუ მან უარი თქვა, მაშინ ბართომეუს ადგილს ტუსკეტსის მოადგილე დაიკავებს.

1951 წელს დაბადებულ ტუსკეტსს, ბარსელონის ბორდის წევრობის გარდა, ფინანსურ სექტორში მუშაობის 40-წლიანი გამოცდილება აქვს და ესპანეთის უმსხვილესი კომპანიების მართვაში იღებს მონაწილეობას.

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები კი, სავარაუდოდ, 40-90 დღის ფარგლებში გაიმართება და დროებითი პრეზიდენტი ამის შემდეგ შეიცვლება. მთავარი კანდიდატები ჟოან ლაპორტა, ვიქტორ ფონტი და ხორდი ფარე არიან.

რეალს უჭირს, სხვა ფავორიტები იგებენ

ა ჯგუფი

ლოკომოტივი-ბაიერნი 1:2

0:1 გორეცკა (13), 1:1 ან.მირანჩუკი (70), 1:2 კიმიხი (79)

მოსკოვის ლოკომოტივმა მიუნხენის ბაიერნს უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. ჰანსი ფლიკის გუნდს უკვე 6 ქულა აქვს და შეუძლია, მშვიდად იყოს.

ანგარიში „რეკორდმაისტერმა“ მალევე გახსნა – მე-13 წუთზე ტოლისო-პავარი-გორეცკას შესანიშნავი კომბინაცია გოლით დასრულდა.

70-ე წუთზე რუსებმა გაათანაბრეს – მარჯვნიდან ზე ლუისმა ჩაწოდა და გოლი ანტონ მირანჩუკმა გაიტანა, თუმცა მალევე ჯოშუა კიმიხმა ლამაზი გოლით ბაიერნს გამარჯვება მოუტანა.

ატლეტიკო-ზალცბურგი 3:2

1:0 ლორენტე (29), 1:1 სობოსლაი (40), 1:2 ბერიშა (47), 2:2, 3:2 ფელიქსი (52, 85)

მაგრად იბრძოლა ზალცბურგმა. იგებდა კიდეც ავსტრიული გუნდი, მაგრამ ჟოაო ფელიქსთან ვერაფერი გააწყო. სწორედ პორტუგალიელმა გაუტანა 2 გოლი სტუმრებს, აქედან ერთი მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე და ატლეტიკომ საჭირო გამარჯვება მოიპოვა.

ბ ჯგუფი

გლადბახი-რეალი 2:2

1:0, 2:0 ტიურამი (33, 58), 2:1 ბენზემა (87), 2:2 კაზემირო (90)

გლადბახმა კარგად დაიწყო და 87-ე წუთამდე 2-ბურთიან უპირატესობას ფლობდა. ორივე გოლი ლეგენდარული ლილიან ტიურამის ვაჟმა მარკუს ტიურამმა გაიტანა: ანგარიში 33-ე წუთზე გახსნა, როდესაც თანაგუნდელთა სწრაფი კონტრშეტევა დააგვირგვინა, ხოლო 58-ე წუთზე დუბლი გაიფორმა.

ბოლო წუთებში გლადბახის ფეხბურთელებმა კონცენტრაცია დაკარგეს და აბსოლუტურად იდენტური კომბინაციებიდან 2 გოლი გაუშვეს. 87-ე წუთზე კაზემირომ პირით ხაზთან მიუსწრო ბურთს და თავით ქარიმ ბენზემას საგოლე პასი გაუკეთა, მე-3 კომპენსირებულ წუთზე კი თავად გაიტანა და რეალს ქულა აჩუქა.

შახტარი-ინტერი 0:0

იტალიური გრანდი თითქმის მთელი თამაში ფლობდა უპირატესობას, მაგრამ დონბასელთა 19 წლის მეკარე ანატოლი ტრუბინი შესანიშნავად მოქმედებდა. მან პირველ ტაიმში რომელუ ლუკაკუსა და ნიკოლო ბარელას აჯობა, ხოლო 2-ჯერ ხარიხა დაეხმარა.

მე-2 ტაიმში იტალიელების რიგებიდან ყველაზე რეალური მომენტი ლაუტარო მარტინესს ჰქონდა, მაგრამ არგენტინელმა შემტევმა ახლო მანძილიდან პრაქტიკულად ცარიელ კარს ააცილა. საბოლოოდ, ინტერმა გოლი ვერ გაიტანა, შახტარს კი რეალური საგოლე შანსი თითქმის არც ჰქონია და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

დავით ხოჭოლავა ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ 62-ე წუთზე შესაცვლელი გახდა. ქართველმა მცველმა კუნთი დაიზიანა და თამაში ვეღარ გააგრძელა. რამდენად სერიოზულია ხოჭოლავას ტრავმა, ჯერჯერობით, უცნობია.

მ ჯგუფი

პორტუ-ოლიმპიაკოსი 2:0

1:0 ვიერა (18), 2:0 ოლივეირა (85)

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა პორტუმ, რომელმაც „დრაგაუზე“ პირეოსის ოლიმპიაკოსს 2:0 აჯობა და სატურნირო ცხრილში გაუტოლდა.

პორტუგალიელებს სწრაფმა გოლმაც უშველა – ვიერას გოლის შემდეგ შედარებით მშვიდად თამაშობდნენ. გასარისკი ბერძნებს ჰქონდათ, მაგრამ ყველა მათი მცდელობა ამაო გამოდგა.

მარსელი-სიტი 0:3

0:1 ტორესი (18), 0:2 გიუნდოგანი (76), 0:3 სტერლინგი (81)

ამ ჯგუფში სიტი აშკარად გამოკვეთილი ფავორიტია და მორიგი 3 ქულის მოპოვება არ გასჭირვებია. ინგლისური გუნდი სტუმრად მარსელს ესტუმრა და მშვიდად აჯობა – 3:0.

დ ჯგუფი

ატალანტა-აიაქსი 2:2

0:1 ტადიჩი (30პ), 0:2 ტრაორე (38), 1:2, 2:2 ზაპატა (54, 60)

ბერგამოში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ისტორიაში პირველად გაიმართა, ატალანტამ და აიაქსმა კი მოლოდინი გაამართლეს და მაგარი ფეხბურთი აჩვენეს.

დუშან ტადიჩისა და ლასინა ტრაორეს გოლებით ამსტერდამელებმა ტაიმი 2:0 მოიგეს და გამარჯვებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. თუმცა მე-2 ტაიმის დასაწყისში 6-წუთიან ინტერვალში დუვან ზაპატამ დუბლი გაიფორმა და ატალანტამ ქულა მაინც გადაარჩინა.

ლივერპული-მიდტიულანდი 2:0

1:0 ჟოტა (55) 2:0 სალაჰი (90პ)

ლივერპული მიდტიულანდს დაუხვდა და კლასის ხარჯზე მოუგო. ისე კი, იურგენ კლოპის გუნდს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია და პირველ ტაიმში მეტოქეს ვერც ვერაფერი დააკლო. შესვენების შემდეგ დიოგო ჟოტამ გაიტანა, ხოლო ბოლო წუთზე მოჰამედ სალაჰმა პენალტით ანგარიშს უფრო სოლიდური და საბოლოო სახე მისცა.

შედეგები

27 ოქტომბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლოკომოტივი-ბაიერნი	1:2
ატლეტიკო-ზალცბურგი	3:2
შახტარი-ინტერი	0:0
გლადბახი-რეალი	2:2
პორტუ-ოლიმპიაკოსი	2:0
მარსელი-სიტი	0:3
ატალანტა-აიაქსი	2:2
ლივერპული-მიდტიულანდი	2:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბათუმში სტადიონი გაიხსნა, თამაში მოგვიანებით იქნება

ბათუმში ახალი საფეხბურთო სტადიონი გაიხსნა. დასრულებული სტადიონი ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ, თბილისის მერმა კახი კალაძემ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ვეტერან ფეხბურთელებთან და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად მოინახულეს.



„დახურული“ გახსნის მიზეზი, ცხადია, კორონავირუსია. თუმცა გვპირდებიან, რომ ახალი სტადიონი მალე ბევრ ვარსკვლავს იხილავს.

ლევან კობიაშვილი:

– სტადიონის გახსნას არა მარტო ბათუმელები, არამედ თითოეული ჩვენგანი წლების განმავლობაში ველოდებოდით. ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ბათუმელმა გულშემატკივარმა, რომლებიც, ჩემი აზრით, ყველაზე პატივსაცემი ადამიანები არიან, მიიღეს ის, რისთვისაც ჩვენთან ერთად წლების განმავლობაში იბრძოდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სტადიონი ქართული ფეხბურთის წარმატების საფუძველი იქნება.

ბათუმის ახალი სტადიონი ყველანაირ საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს, ამ არენაზე ჩვენ უმაღლესი დონის საკლუბო და სანაკრებო მატჩების მასპინძლობა შეგვიძლია. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც პატარა წვლილი მაინც შეიტანა ამ ოცნების ახდენაში. ამ ქალაქს ეს სტადიონი სჭირდებოდა და ამაყი ვარ, რომ ჩვენ ყველამ ერთად ეს შევძელით.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის სტადიონის მშენებლობას 2018 წლის 21 იანვარს ჩაეყარა საფუძველი. სამშენებლო სამუშაოები შპს „ანაგმა“ შეასრულა. სტადიონის მშენებლობა აჭარის ბიუჯეტიდან დაახლოებით 141 მილიონი ლარით დაფინანსდა.

ბათუმის საფეხბურთო სტადიონი 20.000 მაყურებელზეა გათვლილი. უეფას მე-4 კატეგორიის სტანდარტებით აშენებული სტადიონი უახლესი მოდელის განათების, გახმოვანებისა და სხვა სისტემებით აღიჭურვა.

ტოტენჰემს ჩაკვეტაძე შესთავაზეს

ერთ-ერთმა ბრიტანულმა საფეხბურთო ვებგვერდმა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც ტოტენჰემს რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელის შეძენას ურჩევს. ავტორმა მაგალითად ერლინგ ჰოლანდი მოიყვანა და განაცხადა, რომ ნორვეგიელის წყალობით ტოპ 5 ჩემპიონატის მიღმა მოასპარეზე ფეხბურთელებისადმი ინტერესი გაიზარდა. შემდეგ კი დაასახელა ის ფეხბურთელები, რომელთა გადაბირება „დეზებს“ წაადგებათ – მანორ სოლომონი, ფილიპ ურემოვიჩი, ლინდონ სელაჰი და გიორგი ჩაკვეტაძე.

აი, რას წერენ ქართველ ფეხბურთელზე:

– გიორგი ჩაკვეტაძის სახელი ტოტენჰემის გულშემატკივრებისთვის, შესაძლოა, ნაცნობია, რადგან ქართველ ფეხბურთელს ჩრდილოეთ ლონდონს აქამდეც უკავშირებდნენ. შემტევმა ნახევარმცველმა მშობლიური კლუბი, თბილისის დინამო თინეიჯერობის პერიოდში დატოვა და ბოლო 3 სეზონი ბელგიაში, გენტის რიგებში გაატარა, სადაც გასულ სეზონში მუხლის სერიოზული ტრავმა მოირჩინა და მოედანს დაუბრუნდა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, რაპიდის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე სადებიუტო მატჩი ჩაატარა.

ჩაკვეტაძეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით 9 შეხვედრაში 5 გოლი აქვს გატანილი და იმედოვნებს, რომ ნოემბერში, ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის გასამართ მატჩში მონაწილეობას მიიღებს.

მართალია, ამ ეტაპზე, ტოტენჰემს შემტევი ნახევარმცველისა და განაპირა ფორვარდების პოზიციაზე საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მოურინიო გამოცდილი ფეხბურთელების გაშვებასა და მათი ახალგაზრდა სისხლით ჩანაცვლებას გადაწყვეტს, ჩაკვეტაძე არ უნდა დაგვავიწყდეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. ქეჩის გადასატანი კარავი შუა აზიასა და მონღოლეთში; 3. პურეული მცენარე; 5. ღვინის სასმისი; 6. კინოსა და თეატრის ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ქართველი მხატვარი ქალი; 10. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 1. შტატი აშშ-ში; 4. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა ტანსაცმელი; 7. ორგანიზმის შემადგენელი უმარტივესი ერთეული; 9. ახლადამოსული პურის ყანა; 11. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 12. ქირურგიული დანა; 13. კომბინაცია პოკერში; 17. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 18. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 19. მომავლის რწმენა; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მარსელო; 2. აყირო; 3. სკანსენი; 4. მურტალო; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლოზანა; 15. ზარა; 17. ფეოლა; 18. ზღვა.

თარაზულად: 6. ბაყაყი; 7. აკაპულკო; 8. ასკერი; 10. ტარტუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. სადაფი; 19. ღრმაღელე; 20. ზაქათალა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. ქცევა; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კუბდარი; 14. ალმაზა; 15. ფინიკი; 16. ომეგა.

თარაზულად: 1. ჭანეთი; 4. ექსცესი; 7. სტოუნი; 9. ლეკალო; 11. პრიკაზი; 12. კაჭარავა; 13. თრომბი; 17. ბულონი; 18. ეირე; 19. ბრილიანტი; 20. სიბარიტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2345	ევრო — 3.7970
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1958	100 რუსული რუბლი — 4.1230

ამინდის პროგნოზი 29 ოქტომბრისათვის

კაზემირო: „ეს ფრე გამარჯვების ტოლფასი იყო“

მადრიდის რეალმა სტუმრად მიუნხენგლადბახის ბორუსიასთან ფრე ითამაშა 2:2 და მადრიდელებმა ორი გოლის გატანა შეხვედრის ბოლოს მოახერხეს. ერთ-ერთი გოლის ავტორმა კაზემირომ განაცხადა, რომ ეს ფრე მოგების ტოლფასი იყო, რადგან ამ შეხვედრის შემდეგ რეალს თავდაჯერებულობა დაუბრუნდება:

– ეს თამაში თითქმის წაგებული იყო და მისი გადარჩენა ნამდვილი გმირობაა. მიხარია, რომ გუნდს დავეხმარე, რადგან ეს შედეგი მომავალში აუცილებლად დაგვეხმარება.

ფაბინიომ მიდტიულანდთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო

ლივერპულის ნახევარმცველმა ფაბინიომ, რომელიც ვან დეიკის არყოფნის დროს ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს, მიდტიულანდთან მატჩის დროს ტრავმა მიიღო.

იურგენ კლოპის თქმით, მან ჯერჯერობით არ იცის, რამდენად სერიოზულია ფაბინიოს ტრავმა, თუმცა ლივერპულისთვის ეს კარგი ნამდვილი არ არის:

– იმედი მაქვს, ფაბინიო მალე დაგვიბრუნდება, რადგან სახარბიელო მდგომარეობა ისედაც არ გვაქვს. მისი ტრავმის სიმძიმის შესახებ რამდენიმე დღეში გავიგებთ.

კრიშტიანო რონალდუ ჯერ არ განკურნებულა



ტურინის იუვენტუსის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ ჯერ კორონავირუსისგან ბოლომდე არ განკურნებულა და, მისი თქმით, ის გალიაში გამომწყვდეული მგელივით არის, რომელიც ცდილობს, გარეთ გამოვიდეს, მაგრამ იცის, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება.

რონალდუმ უკვე გამოტოვა იუვენტუსის რამდენიმე შეხვედრა და ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე.

ლუკა მოდრიჩი: „ჯერჯერობით ოპტიმალურ ფორმაში არ ვართ“

მადრიდის რეალის ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ჯერჯერობით ოპტიმალურ ფორმაში არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ მაინც შეუძლიათ კარგი შედეგებისთვის მიღწევა:

– მოედანზე ერთმანეთთან იდეალური კომუნიკაცია ჯერ არ გვაქვს, რადგან ჯერ კიდევ ოპტიმალურ კონდიციებში არ ვიმყოფებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებთ, შედეგს მივაღწიოთ და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 ოქტომბრისათვის

ვერძი – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კურო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს უყვება:

– პირველად შევირთე ლამაზი გოგო ცოლად და საშინელებად იქცა. მეორედ ცოლად მოვიყვანე ჩამოსხმული ტანის გოგონა და ერთ წელში საშინლად გასუქდა. ახლა შეუხედავსა და მსუქანზე დავქორწინდი...

– მერე?

– მერე, ვზივარ და ველოდები, რა იქნება.

•••

მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

– თქვენ ამბობთ, რომ დაინახეთ, თუ როგორ ახრჩობდა ბრალდებული თქვენ სიდედრს... კი მაგრამ, რატომ არ მიეხმარეთ?

– ვაპირებდი, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ დავინახე, რომ უჩემოდაც მშვენივრად მოახერხა!

•••

ბავშვი ქალს ეკითხება:

– ჟანა დეიდა, სეროჟა სახლშია?

– სეროჟა ახლა ჭამს. ალბათ შენც გინდა ხომ ჭამა?

– კი, მინდა.

– ჰოდა, წადი სახლში და ჭამე.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ასე მოქცევა როგორ შეგეძლო?! უბრალოდ სიტყვები არ მყოფნის!

– დამსაჯე, შენი დუმილით დამსაჯე!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, თურმე ლიბანში ორი მილიონი ლიბანელი გამოსულა კორუფციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

– მართლა?

– ჰო, და როგორ ფიქრობ, ჩვენთან ასეთი რამ შესაძლებელია?

– გამორიცხულია!

– რატომ?

– რა უნდა ჩვენთან ორ მილიონ ლიბანელს?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რაულ ჩილაჩავას უკრაინის სახალხო პოეტის წოდება მიენიჭა

ქართველ პოეტს, მთარგმნელსა და დიპლომატს რაულ ჩილაჩავას'უკრაინის სახალხო პოეტის'წოდება მიენიჭა.

სასიხარულო ინფორმაცია პოეტმა თემო ჭახნაკიამ გაავრცელა:

– გამოჩენილ ქართველ მწერალს, რაულ ჩილაჩავას, ვულოცავ უკრაინის სახალხო პოეტის'წოდების მინიჭებას.

მიხეილ ზაქარიაშვილმა ინსულტი გადაიტანა

მომღერალმა და კომპოზიტორმა მიხეილ ზაქარიაშვილმა ინსულტი გადაიტანა. ის ახლა თავს კარგად გრძნობს, თუმცა ფორტეპიანოზე დაკვრა ჯერ არ შეუძლია.

ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვანმა თავად გაავრცელა:

– ივლისის თვეში ინსულტი მქონდა. ახლა კარგად ვარ, ხელ-ფეხი უკვე ავამუშავე.

აბა, კარგად მეყოლეთ ყველა. ჯერ პიანინოს ვერ ვუკრავ, მაგრამ კარგად ვარ.

გიორგი მასხულია მის და მისტერ თბილისს გამოავლენს

დიზაინერი გიორგი მასხულია მის და მისტერ თბილისის სილამაზის კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს.

სილამაზის კონკურსის დასკვნით საღამოს 29 ოქტომბერს რესტორანი „სამი საუკუნე“ უმასპინძლებს.

– დედაქალაქი ირჩევს თავის რჩეულ სახეს, გოგონასა და ვაჟს. ვნახოთ, ვინ იქნება ის ღირსეული მის თბილისი და მისტერ თბილისი, – აცხადებს დიზაინერი, რომელმაც ამ კონკურსის ჩატარების უფლება სასამართლოს ძალით დაიბრუნა.

ანსამბლ „თუთარჩელას“ წევრი ნიკოლოზ მედოიძე გარდაიცვალა

ახალგაზრდული გუნდის „თუთარჩელას“ წევრი ნიკოლოზ მედოიძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალმა გაავრცელა:

– თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ახალგაზრდული გუნდის „თუთარჩელას“ წევრის ნიკოლოზ მედოიძის გარდაცვალების გამო. ეს არა მარტო ოჯახის, ახლობლების, პედაგოგებისა და მეგობრების, ეს მთელი საქართველოს ტკივილია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზურენოვანი წიგნები გამოიფინა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის წიგნსაცავსა და მუზეუმში დაცული აფხაზურენოვანი წიგნები და ისტორიული დოკუმენტები გამოიფინა.

აფხაზური ენის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში თეა ახვლედიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, პროფესორები, სტუმრები დაესწრნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთი საუკუნის წინ უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა დაიწყეს აფხაზური ენის განვითარებასა და მეცნიერულად შესწავლაზე ზრუნვა.

თსუ-ში ათ წელზე მეტია ფუნქციონირებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანია ქართულ-აფხაზურ პრობლემათა შესწავლა და კვლევა, აფხაზური ზეპირმეტყველების სწავლა-სწავლება.

ლადო ბურდული: „საქართველოში ქართული თანამედროვე მუსიკა არ უნდა ნადგურდებოდეს“

– ასე მიაჩნია მომღერალსა და კომპოზიტორს ლადო ბურდულს:

– საქართველოში ქართული თანამედროვე მუსიკა არ უნდა ნადგურდებოდეს ქართველების ხელით.

ერთჯერადი პროექტები ქართული მუსიკის განვითარებისთვის არ არის საკმარისი. პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, სადაც რადიო– ტელევიზიებს დაევალებათ, შეზღუდონ გარკვეული %-ის ზევით უცხოური მუსიკის პრომოუშენი ქართული თანამედროვე მუსიკის დაბლოკვისა და იგნორირების ხარჯზე. ქართული თანამედროვე მუსიკა უნდა ისმოდეს ყველგან – დაწესებულებებში, კომერციულ ცენტრებში, კვების პუნქტებში, ტრანსპორტში, ყველგან და ეს უნდა აკეთონ საქმეში ჩახედულმა პროფესიონალებმა და არა ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა. მე, პირადად, ამის პიონერი და ავტორი ვიყავი 90-ში და ვნახე მშვენივრად, როგორც განვითარდა ის, რა მასშტაბები შეიძინა და რამხელა პოპულარობა მოუტანა მეორე არხს თუ შემდგომში მაესტროს და როგორ შეცვალა მთლიანად ქართული აზროვნება სწორედ ამ „თანამედროვე ქართულმა მუსიკამ“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. საშობაო სიმღერა; 3. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 4. დნმ-ის აღმომჩენი ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 9. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 12. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 14. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 15. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 17. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 18. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში.

თარაზულად: 6. ღვარძლიანი, ბოროტი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ფრანგული სამოდელო ფირმა; 10. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 10. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 20. მდინარე ბოლნისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა